პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი, № 281 (13097) | სამშაბათი, 1 დეკემბერი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

შვიდწლედის შრომითს ვახტზე



# სახელოვანი იუბილე

## ტაჯიკეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ტაჯიკეთის ყველა მშრომელს მხურვალედ ულოცავენ სასიხარულო დღესასწაულს — ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და ტაჯიკეთის კომუნისტური პარტიის შექმნის ორმოცდა წლისთავს, რომელიც სახელოვანი თარიღია ტაჯიკი ხალხისა და ჩვენი დიადი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა მოძმე ხალხის ცხოვრებაში.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაათავისუფლა ტაჯიკი ხალხი, ისე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი, სიბნელისა და ჩამორჩენილობისაგან, ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან, ეროვნული აღორძინების, ეკონომიკური და კულტურული პროგრესის ფართო ჰორიზონტი გადაუშალა მას. ყველა საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელთა და უწინარეს ყოვლისა დიდი რუსი ხალხის უანგარო, დახმარებით ტაჯიკმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ერთი თაობის ცხოვრების მანძილზე შესანიშნავი წარმატებები მოიპოვა თავის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში, ააშენა სოციალიზმი და ახლა აქტიურად მონაწილეობს საერთო სახალხო ბრძოლაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

ყველა საბჭოთა ადამიანი ამაყობს თავისი ტაჯიკი ძმების შესანიშნავი წარმატებებით, რომლებმაც შექმნეს განვითარებული მრეწველობა და, დიდად მექანიზებული სოციალისტური სოფლის მეურნეობა. რესპუბლიკაში აგებულია ასობით მსხვილი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საწარმო, რომელთა პროდუქცია კარგად ცნობილია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში. საყოველთაოდ ცნობილია ტაჯიკ მებამბეთა ოსტატობა, რომლებიც წლითიწლობით იღებენ უძვირფასესი წმინდა ბოკოიანი ჯიშის ბამბის მოყარ და უხვ მოსავალს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ტაჯიკეთი გადაიქცა მთლიანი წიგნიერების რესპუბლიკად, სადაც შეკვეთის სოციალისტური კულტურა, აღიზარდა მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის კვალიფიციური კადრები, ჩამოყალიბდა ახალი ადამიანი — კომუნიზმის მშენებელი.

სრულიად გარდაიქმნა ტაჯიკი ქალი. წინათ შარიათის ველური კანონებით დაბეჩავებული, უსიტყვო მონა ტაჯიკი ქალი გახდა თავისუფალი, თანასწორუფლებიანი მშრომელი, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ საქმიანობაში. განუხრელად მაღლდება მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის დონე.

შესანიშნავი წარმატებანი, რომლებიც ტაჯიკმა ხალხმა მოიპოვა ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, ცხადყოფენ კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის დიად ძალას, რომელიც სოციალიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ შრომისმოყვარე და ნიჭიერი ტაჯიკი ხალხი არ დაიშურებს ძალღონესა და ენერგიას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის, კვლავაც იქნება ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების შენებელთა პირველ რიგებში, დაუცხრომლად იბრძოლებს, რათა განხორციელდეს პარტიის გენერალური ხაზი, რომლებიც ჩამოყალიბებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX, XXI და XXII ყრილობათა გადაწყვეტილებებში.

გაუმარჯოს ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ტაჯიკეთის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლ რაზმს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ურღვევ მეგობრობას!

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

# მეგობრული საუბარი

## გვინეის რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ეწვია ა. ნ. კოსიგინს

28 ნოემბერს გვინეის რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს გვინეის დემოკრატიული პარტიის პოლიტბიუროს წევრი, ეროვნული კრების თავმჯდომარე ლეონ მაკა, ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს. ა. ნ. კოსიგინსა და დელეგაციის წევრებს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი. (საკდესი).

# საბჭოთა კავშირ-დანიის მოლაპარაკება

19 ნოემბრიდან 28 ნოემბრამდე მოსკოვში მიმდინარეობდა სსრ კავშირისა და დანიის დელეგაციების მოლაპარაკება იმ მიზნით, რომ შეიმუშაონ შეთანხმება სსრ კავშირისა და დანიის მთავრობის შორის საშველი და გემთმაშენ სამუშაოთა წარმოების შესახებ საბჭოთა კავშირსა და დანიის წყალებში. მოლაპარაკების მედგად, რომელიც მეგობრულ ატმოსფეროში და ურთიერთგაგების სულისკვეთებით მიმდინარეობდა, შეიმუშავეს შეთანხმების პროექტი, რომელიც წარედგინება ორივე ქვეყნის მთავრობებს დასამტკიცებლად.

# საპროტესტო დემონსტრაციები

მოსკოვი, 28 ნოემბერი. (საკდესი). უცხოელ სტუდენტთა დიდმა ჯგუფმა, რომლებიც მოსკოვში სწავლობენ, საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყო დღეს ამერიკის შეერთებული შტატების, ბელგიის, ინგლისისა და კონგოს (ლეოპოლდვილი) საელჩოების წინ კონგოში იმპერიალისტთა სამხედრო ინტერვენციის წინააღმდეგ.

დემონსტრაციის მონაწილეებს ეკავათ თვითნაკეთი პლაკატები.

# საპატიო წოდება

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიანიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადასცა ლენინის ორდენი და ოქროს medali „ნამგალი და უროს“ უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამბ. დემიან სერგის-ძე კოროტჩენკოს (საკდესი).



რუსთავის მეტალურგებმა კოლოიდური გოგირდის გამოსამუშავებლად (მას იყენებენ ვაზის, ხეხილის და სხვა მრავალწლიანი ნარგაუების მავნებლებთან საბრძოლველად) კოჟსქემიურ საამქროსთან გამართეს სპეციალური დანადგარი, რომელიც მალე გამოუშვებს პროდუქციას. მარცხენა სურათზე კოლოიდური გოგირდის დანადგარის უფროსი ე. გვენცაძე (მარცხნიდან), საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების უბნის უფროსი ბ. თბილიძე და ფილტრების მეპატარატე შ. სიდამონიძე ნახაზის მიხედვით ამოწმებენ დანადგარის გამართულობას.

ეს თეთრხალათიანი გოგონები — ნ. კვეზერელი (მარცხნივ) და ნ. ფივიაგინ-კომკავშირელი ზეინკლები არიან, ხელსაწყოთსამშენებლო ქარხანა „თბილხელსაწყოს“ მუშები, რომლებიც ლოკომოტივის სიჩქარეზომების აწყობაზე მუშაობენ. ისინი სისტემატურად 115-120 პროცენტით ასრულებენ დღიურ დავალებებს.

ფოტო გ. კიკვაძის (საკდესის ფოტოქრონიკა) და შ. ჩხეტიანისა.

# აზერბაიჯანისა და სომხეთის კპ ცენტრალური კომიტეტების პლენუმები

**ბაკო.** (საკდესი). დღეს გაიმართა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის (1964 წელი) პლენუმის გადაწყვეტილებანი. მოხსენება გააკეთა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. ახუნდოვმა.

პლენუმმა ერთსულოვნად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის (1964 წელი) პლენუმის დადგენილება „სამრეწველო და სასოფლო-სოფლო, სამხარეო პარტიული ორგანიზაციების გაერთიანების შესახებ“. გადაწყვეტილია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა პარტიული კომიტეტები გარდაიქმნას პარტიის რაიონულ კომიტეტებად. უქმდება სამრეწველო საწარმოო (ზონალური) პარტიული კომიტეტები.

მიზანშეწონილად არ არის მიჩნეული აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში იყოს მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროო და სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროო.

**ერევანი.** (საკდესი). გაიმართა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმის მონაწილეებმა მოისმინეს და განიხილეს სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ი. ნ. ხრობოვანის მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის (1964 წლის) პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ“.

პლენუმმა ერთსულოვნად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება „სამრეწველო და სასოფლო-სოფლო, სამხარეო პარტიული ორგანიზაციების გაერთიანების შესახებ“.

მიღებულია გადაწყვეტილება რეორგანიზებულ იქნას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა პარტიული კომიტეტები სომხეთის კომპარტიის რაიონულ კომიტეტებად, გაუქმდეს სამრეწველო-საწარმოო (ზონალური) პარტიული კომიტეტები.

პლენუმმა სცნო, მიზანშეწონილი არ არის იყოს სომხეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროო და სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროო.

# სტუმრად მოსკოვში

**30 ნოემბერს** სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვს მეგობრულ ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ა. ნოვოტნი.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც ორი მოძმე ქვეყნის სახელმწიფო ალმებით იყო მორთული, დელეგაციას შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სხვა ოფიციალური პირები. (საკდესი).




# მთის მახარის დღესასწაული

**დუშანბე.** 30 ნოემბერი. (საკდესი). შესანიშნავ ფფურცლად ჩაიწერა საბჭოთა ტაჯიკეთის ისტორიაში საიუბილეო 1964 წელი. იგი აღსავსე იყო შემოქმედებითი შრომით, აღინიშნა ახალი გამარჯვებებით კომუნიზმის მშენებლობაში.

დღეს ტაჯიკი ხალხი ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად საზეიმოდ აღნიშნავს თავისი მზიური რესპუბლიკისა და მისი კომუნისტური პარტიის ორმოცი წლის იუბილეს.

საზეიმოდ არის მორთული თეატრის სცენა. პროექტორების შუქზე ბრწყინავს რესპუბლიკის უზარმაზარი გერბი, რომელიც ბამბის ბუჩქის ტტოებით არის დაგვირგვინებული. ცენტრში აღმართულია რევოლუციის დიდი ბელადის, ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის ვ. ი. ლენინის ბიუსტი. მარჯვნივ და მარცხნივ ციფრები: 1924-1964.

დილის 10 საათზე დაწყო ტაჯიკეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომა, რომელიც მიეძღვნა ღირსშესანიშნავ თარიღს.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ბ. ნ. მიჭოიანსა და მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის დელეგაციებს; ტაჯიკეთის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, როცა ისინი პრეზიდიუმში შემოვიდნენ.

საზეიმო სხდომა გახსნა ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. ხოლოვმა.

ტაშის გრიალში აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმი სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობით.

**მოხსენება ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და ტაჯიკეთის კომუნისტური პარტიის ორმოცი წლისთავი გააკეთა ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დ. რასულოვმა.**

**თ**ავის სახელოვან იუბილეს, თქვა მომხსენებელმა, ჩვენი რესპუბლიკა აღნიშნავს შემოქმედებითი ძალების სრული გაფურჩქვნის პირობებში. ტაჯიკი ხალხი აჯამებს ბრძოლისა და შრომის 40 წლის შედეგებს, სიამაყით გასცქერის განვლილ გზას და კარგად ესმის, რომ თავის ყველა წარმატებას, ეკონომიკისა და კულტურის სწრაფ პროგრესს, თავისი ცხოვრების ბედნიერებას უნდა უმადლოდეს უწინარეს ყოვლისა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას, კომუნისტურ პარტიას, მის ბრძნულ ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას. ჩვენი ქვეყნის ხალხების ურღვევ ძმურ მეგობრობას, უკვდავი ლენინის გენიას.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს იმ უდიდეს გარდაქმნებზე ტაჯიკი ხალხის ცხოვრებაში, რომლებიც გასული ორმოცი წლის მანძილზე მოხდა. ახლა ტაჯიკეთის მრეწველობაში, ტაჯიკეთისა, სადაც რევოლუციამდე სულ რამდენიმე შინამრეწველური სახელოსნო იყო, არის 90-ზე მეტი სხვადასხვა დარგი. სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა 1913 წელთან შედარებით 49-ჯერ გაიზარდა.

ახლა საბჭოთა ტაჯიკეთი სამშობლოს ეწევდის პოლიტიკურის მადნებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს. საქსოვ დაზგებს, ტრანსფორმატორებს, ელექტრ პროდუქციასა და დაბალი ძაბვის ელექტროაპარატურას, ტრაქტორისა და ავტომობილის სათადარიგო ნაწილებს, საშენ მასალებს, ფეხსაცმელს, ქსოვილს, ტრიკოტაჟს, სალვარ კონსერვებსა და ბევრ სხვა ნაწარმს.

სწრაფად ვითარდება ენერგეტიკა. ახლა რესპუბლიკის საწარმოებსა და დაწესებულებებში, 13 ათასი სწავლობს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში.

რესპუბლიკის მშრომელები საიუბილეო წელს ახალი წარმატებებით აღნიშნავენ. ტაჯიკეთის მრეწველობამ ვადამდე, 25 ნოემბრისათვის, შეასრულა თერმეტი თვის გეგმა და სამშობლოს მილიონი მაზეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცა. ტაჯიკეთმა შეასრულა პერის, ბერეზოვის პარკის, კრაველის, ხალის შესრულების სახელმწიფო გეგმა. მეტი, ვიდრე შარშან, დამზადებულია ზორაკი, ბოსტნეული, კარტოფილი და სხვა პროდუქტები. ტაჯიკმა მებამბეებმა წარმატებით შეასრულეს ბამბის დამზადების სახელმწიფო გეგმა. თითოეულ ჰექტარზე წელს საშუალოდ მოკრეფეს 25 ცენტნერ ხამ ბამბას.

ამ სადღესასწაულო ღღეს, განაგრძო მომხსენებელმა, ჩვენ კიდევ ერთხელ მადლობას ვუძღვნით ჩვენი ქვეყნის მოძმე ხალხებს მათი უანგარო დახმარებისათვის ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა მეხუთე ათწლეულში შედის. ხალხს მტკიცედ სწამს თავისი მომავალი და აღსავსეა სასიცოცხლო ძალითა და შემოქმედებითი ენერგიით. მარქსიზმ-ლენინიზმის ალმა ყოველთვის იდეები უნათებენ გზას.

ტაჯიკი ხალხისა და ტაჯიკეთის კომუნისტური პარტიის სახელით დ. რ. რასულოვმა შეკრებილთ აღუთქვა, რომ ტაჯიკი მშრომელები კიდევ უფრო მტკიცედ დაიარაზმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მთელ ძალებს, მთელ ენერგიას მოახმარენ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს ჩვენს ქვეყანაში.

**საზეიმო სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიჭოიანმა.**

**ს**კკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაგალებითა და სახელით ა. ი. მიჭოიანმა მხურვალედ მიულოცა სახელოვანი წლისთავი დამსწრეთ და მათი სახით მთელ ტაჯიკ ხალხს. დღესასწაული რომელსაც ამ დღეებში აღნიშნავენ ტაჯიკეთი და შუა აზიის სხვა რესპუბლიკები, თქვა ორატორმა, — დიდი მოვლენაა არა მარტო ტაჯიკი, უზბეკი, თურქმენი ხალხების ცხოვრებაში, არამედ ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხის ცხოვრებაში. იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი დაკავშირებულია ურღვევი, სულ უფრო მზარდი მეგობრობით. საერთო დიდი პიზნესი, მარქსიზმ-ლენინიზმის ყველაზე ძოწინავე იდეები.

ახალგაზრდა თაობისათვის იმის წარმოდგენაც კი ძნელია, რა იყო შუა აზია ოქტომბრის რევოლუციამდე, და პირველი რევოლუციისშემდგომ წლებში. ეს პირობებია, როცა ამ მხარეს, იქსპლოატაციას უწევდა ცარიზმი, ვაჭრობასა და მეკვაბშეკრის კაპიტალი, ჩაგრავდა ხანების ტირანია და ადგილობრივი ფეოდალები. ტაჯიკ ხალხს არა ჰქონდა თავისი სახელმწიფოებრიობა, იგი გათიშული იყო (ირანში იყო ტაჯიკი ხალხი, ისე როგორც შუა აზიის სხვა ხალხებიც) ყალთაო და ინდოეთში. და მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის შემდეგ რუსეთში, და ისიც მამინ კი არა, არამედ მძიმე ბრძოლაში, რომელიც რამდენიმე წელს გაგრძელდა, ტაჯიკმა ხალხმა მიაღწია თვითგამორკვევას, შექმნა თავისი სახელმწიფოებრიობა, ჩამოყალიბდა როგორც სოციალისტური ერი.

ახლა ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, როგორ აანშენა თავისი სოციალისტური ცხოვრება თავისუფალმა ტაჯიკმა ხალხმა. ძნელი და რთული იყო მისი გამარჯვების გზა. ტაჯიკეთში ძალზე უმნიშვნელო იყო ადგილობრივი პროლეტარიატის ფენა და ამ გამარჯვებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ტაჯიკეთის რევოლუციურმა კლეხობამ და ჩვენი ქვეყნის რევოლუციური მოძრაობის მებრძოლი ავანგარდის — რუსეთის პროლეტარიატის მხარდაჭერამ. ლენინი და პარტია უდიდესი ყურადღებით ეკიდებოდნენ შუა აზიის საქმეებს ახალი ყოფიერების დამყარების უძნელეს წლებში.

ბევრი თავისი ერთგული შვილი გაგზავნა პარტიამ მაშინ ტაჯიკეთსა და შუა აზიის სხვა ადგილებში, აღნიშნა ორატორმა. არ შეიძლება კეთილი სიტყვით არ მოვიხსენიოთ უწინარეს ყოვლისა, ორსი ადამიანები, რომლებმაც ბევრი რამ გააკეთეს რევოლუციის გამარჯვებისათვის, შემდეგ კი ხელს უწყობდნენ ტაჯიკეთის ეკონომიურ და კულტურულ აღმავლობას. სოციალიზმის მშენებლობას ამ რესპუბლიკაში.

სახელოვანია ტაჯიკეთის ხალხთა გზა ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ, ფეოდალიზმიდან, მეტიც ფეოდალიზმამდელი წინა ურთიერთობიდან აღმოსავლეთ რაიონებში — სოციალიზმისაკენ, ისე, რომ, როგორც ვ. ი. ლენინმა იწინასწარმეტყველა, გვერდი აუარეს ხალხისათვის მძიმე გზას — კაპიტალისტური განვითარების გზას. და ესეც არის ტაჯიკეთის გამოცდილების უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა.

თავიანთ 40 წლისთავზე შუა აზიის რესპუბლიკები შეხვდნენ დიდად განვითარებული მრეწველობის მხრივ. მათ აქვთ თანამედროვე სარწყავი მიწათმოქმედება. ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხისათვის, მათ შორის ტაჯიკეთის ხალხებისათვისაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კულტურულ რევოლუციას, როგორც ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევას.

დღეს ტაჯიკეთი აღსანიშნავად მთლიანი წიგნიერების რესპუბლიკაა, რომელსაც აქვს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ფართო ქსელი. რესპუბლიკას აქვს თავისი უნივერსიტეტი, თავისი მეცნიერებათა აკადემია, თავისი თეატრები და ფილარმონია, თავისი დიდი ლიტერატურა.

და ახლა ტაჯიკეთი აღარ შეიძლება შევადაროთ ყოლონურ ქვეყნებს, იქ ქვეყნებს, რომლებიც ჯერ კიდევ იმპერიალისტებზე არიან დამოკიდებული, თუმცა უკვე თავისუფლება მოიპოვეს. არც იქ ქვეყნებს, რომლებიც დაადგნენ კაპიტალისტური განვითარების ნელ და მტანჯავკელ გზას. არა, მოსახლეობის რაოდენობასთან შედარებით სტუდენტთა რაოდენობის მხრივ ტაჯიკეთი ერთიორად უსწრებს წინ ისეთ ქვეყნებს, როგორიც არიან შვეიცია, საფრანგეთი ან ბელგია. ხოლო ექიმების რაოდენობის მხრივ მაგალითად, ჰოლანდიასთან შედარებით ტაჯიკეთი გაცილებით წინ დგას.

საბჭოთა კავშირის ხალხების გამოცდილებამ გააკეთვინა ოსლისტული თეორიები, კოლონიზატორთა საუკუნეობრივი სიცრუე ზოგიერთი ხალხის ჩამორჩენის მიზეზების შესახებ. ამ გამოცდილებამ უდავოდ დაამტკიცა, რომ დამოუკიდებელი ისტორიული შემოქმედება სულაც არ არის რომელიღაც რჩეული ერების პრეროგატივა. ამიტომაც არის, რომ კოლონიური დამოკიდებულებისაგან ახლახან განთავისუფლებული ქვეყნების ხალხები ასე საგულდაგულოდ აკვირდებიან ჩვენი ეროვნული რესპუბლიკების გამოცდილებას, სწავლობენ, ეუფლებიან ამ გამოცდილებას.

განთავისუფლებული, მაგრამ ჯერჯერობით ჩამორჩენილი ქვეყნების შრომელ ხალხს არ სურს კაპიტალიზმის გზა, რომელიც მტანჯველია ხალხისათვის, იგი შეჰყურებს სოციალიზმს, მისკენ ისწრაფვის ამ ხალხის ფიქრი. და ეს არის ჩვენი წარმატებების, ჩვენი ბაგალითის უდიდესი საეთაშორისო მნიშვნელობა, ვინაიდან ეს არის დასაყრდენი ამ ხალხებისათვის.

**ჩ**ვენს ქვეყანაში უდიდესი მშენებლობაა, ყოველდღიურად შენდება ახალი ქარხნები, ფაბრიკები, შახტები, სარწყავი, საცხოვრებელი სახლები, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ნაგებობანი. დასასრულს უახლოვდება მიმდინარე, 1964 წელი და უკვე ახლა სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ჩვენმა ქვეყანამ ახალი წარმატებანი მოიპოვა. გადაპარბენით არის შესრულებული მრეწველობის პროდუქციის წარმოების გეგმა. მოვიწეთ უხვი მოსავალი. გადაპარბენით არის შესრულებული მთლიანად მარცვლის შესყიდვის გეგმა. კარგად მიმდინარეობს ბამბის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, კარტოფილის დაბრალება. აქედანვე ცხადია, რომ მრეწველობის პროდუქციის გამოშვების შვიდწლეული დავალებანი გადაჭარბებით იქნება შესრულებული. მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენში სასოფლო-სამეურნეო წარმოება ჩამორჩენილი სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას. ეს ჩამორჩენილობა აფერხებს ისეთი დარგების განვითარებას, როგორიცაა მსუბუქი და კვების მრეწველობა და სხვა. პარტია ახორციელებდა და კვლავ განახორციელებს საჭირო ღონისძიებებს იმისათვის, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება წაყენებული მოთხოვნების დონეზე იყოს.

დიდია ჩვენი ქვეყნის მიღწევები. ჩვენ ვამაყობთ ამ მიღწევებით. მაგრამ ისიც ვიცით, თუ რა გადაუჭრელი პრობლემები, რა ნაკლოვანებები და სიძნელეები გვაქვს. ჩვენთვის ცნობილია ამ პრობლემების გადაჭრის, ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზებიც. პარტია ამისთვის დაუცხრომლად მუშაობს.

უნდა გავითვალისწინოთ, განაგრძო ა. ი. მიჭოიანმა, რომ თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე საბჭოთა კავშირი ნახევარდამოკიდებული განვითარების ახალ გზას უკაფავს მსოფლიოს ყველა ხალხს. ამიტომ ჩვენ სწორად და ობიექტურად, შეფასებულად უნდა შეეფასოთ ის, რასაც უკვე მიეღწიეთ, ყოველმხრივ გავაანალიზოთ დღევანდელი მდგომარეობა და ამ ბაზაზე დაუსახოთ ჩვენი ქვეყნის განვითარების ძირეული გადაუდებელი ამოცანების გადაჭრის კონკრეტული გზა.

ლენინის ანდერძის შესრულების საუკეთესო საშუალებაა თვალი ყურადღებით მოვეკიდოთ გადაუდებელი ამოცანების გადაწყვეტას, ზუსტად, განუხრელად შეასრულოთ ხალხის ნება, დავეყრდნოთ მის გამოცდილებას, მუდამ გვრჩობდეთ ხალხის ცხოვრების მაჯისცემას, ვემსახურებოდეთ ხალხს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, თქვა დასასრულ ორატორმა, მიაჩნია რომ ყველაზე მაღალი, კეთილშობილური და საარსებო ამოცანებია ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ძალოვრების შემდგომი განმტკიცება, მისი შემდგომი აყვავების უზრუნველყოფა, მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება. ყველაზე მაღალი კეთილშობილური ამოცანაა მშრომელთა ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლება საზოგადოებრივი წარმოების განვითარებისა და გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე. ყველაზე მაღალი და კეთილშობილური ამოცანაა ნათელი მომავლის — კომუნიზმის მშენებლობა.

შემდეგ ა. ი. მიჭოიანმა წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება ტაჯიკეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოსა და ტაჯიკეთის ყველა მშრომელისადმი. ამ მისალმებაა სხდომის მონაწილენი ხანგრძლივი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

**მხურვალედ** მიეღოცეს და შემდგომი წარმატებები უსურვეს ტაჯიკეთის კომუნისტურ პარტიას, ყველა მშრომელს ტაჯიკეთის, ყველა მშრომელს მოძმე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის დელეგაციათა ხელმძღვანელებმა. მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს: რუსეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. ა. დიაკოვმა, მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ფ. პრომისლოვმა, ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ს. მ. ვერიჟნიკოვმა, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ პ. ტ. ტერნოკომ, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ს. ო. პრიტიცკიმ, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. რ. რაშიდოვმა, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ს. სოლომენცევმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ა. გეგეშიძემ, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ხ. ალიზადემ, ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ვ. პოპოვმა, მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ფ. დიორდიცამ, ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ე. ვოსმა, ყირგიზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ტ. ჟ. უულატბევმა, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ტ. არუთიუნიანმა, თურქმენეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მ. გაპუროვმა, ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ო. ო. მერიმაამ.

დასკვნითს სიტყვაში ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დ. რ. რასულოვმა ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მთავრობის, ყველა მშრომელის სახელით მადლობა უძღვნა ს

# ლექციური პროპაგანდის მტკივნეული საკითხები

**ჩვენი** ხალხის იდეურ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სკკ ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის ივნისის პლენუმს და მის გადაწყვეტილებებს, რომლებიც კომუნისტის გაღლილი მშენებლობის პერიოდში პარტიის იდეოლოგიური მოღვაწეობის პროგრამას წარმოადგენს.

პლენუმმა განაზოგადა იდეოლოგიური მუშაობის გამოცდილება და გამოავლინა მისი ნაკლოვანებანი, განსაზღვრა ამ მუშაობის მთავარი მიმართულებანი. „მშრომელთა კომუნისტური მსოფლმხედველობის ფორმირება: ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში წარსულის გადმონაშთების დაძლევა; კომუნისტის აქტიური და შეგნებული მშენებელთა შრომითი აღზრდა; ხალხის განათლებისა და კულტურის ამაღლება; ხალხის საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდა; ანტიკომუნიზმისა და ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყველა ფორმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა“ — ასეთია ის ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა უზრუნველყოფს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების იდეოლოგიურ მომზადებას.

კომუნისტური პარტია ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის სრულად გამოიყენოს იდეოლოგიური ფრონტის ისეთი დამკვრელი ძალები, როგორიც არის პრესა, რადიო, კინო, ტელევიზია. იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება **პროპაგანდისტის, ლექტორისა და აგიტატორის ცოცხალ, გულწრფელ სიტყვას, ლექტორის პირად, უშუალო კონტაქტს მსმენელებთან.**

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ ეფექტიანი კონტროლისა და პროგრამის არ ძალუძთ შეცვალონ მეცადინეობის ის მიმართულება, რომელიც ლექტორთა შემადგენლობით განისაზღვრება.

თვითეული პროპაგანდისტს შეეძლო ყოველგვარ უნდა უნათებდეს გზას ჩვენი გენიალური ბელადისა და მასწავლებლის, სოციალისტური რეალობის თეორიტიკოსის და მგზნებარე პროპაგანდისტის ფუნდ ლენინის სახე. ჩვენი სახელოვანი პარტიის ტრადიციაა, რომ მისი გამოჩენილი მოღვაწენი, პარტიის საუკეთესო ძალები ეწეოდნენ პროპაგანდისტულ მოღვაწეობას.

ცხოვრებამ მთლიანად დაადასტურა, რომ კარგი ლექციის, მოხსენებისა და საუბრის საჭიროება არათუ კლებულობს, არამედ მატულობს. თანამედროვე პირობებში იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ იდეოლოგიურ დარგში ამოცანების ზრდასთან ერთად განუხრელად იზრდება მათი განხორციელების შესაძლებლობა. ჩვენ ჯერ კიდევ არასოდეს არ გვქონია ისეთი პირობები იდეოლოგიური მუშაობის ფართოდ გაშლისათვის, როგორიც ღღესა გვაქვს. ეს არის უწინარეს ყოვლისა მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა, კვალიფიციური კადრების მრავალრიცხოვანი არმია, დიდი მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობანი საკლუბო დაწესებულებების, თეატრების, კულტურისა და დასვენების პარკების, კინოდანადგარების, რადიოსა და ტელევიზიის, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების სახით.

პარტიის იდეოლოგიური ფრონტის საბრძოლო არსენალში **საზოგადოება „ცოდნას“ ერთ-ერთი** მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამიტომ გასაგებია, რომ საზოგადოების ყოველდღიური მუშაობა პარტიის მუდმივი ზრუნვის საგანს შეადგენს. სკკ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა ინტელიგენციის კეთილშობილურ მოღვაწეობას, რომელიც პარტიის ეხმარება იდეოლოგიური მუშაობის დონისა და ქმედითობის ამაღლებაში.

თავისი დანიშნულებით საზოგადოება „ცოდნა“ წარმოადგენს ისეთ ორგანიზაციას, რომელიც მოწოდებულია პასუხი გასცეს მეცნიერებისა და პოლიტიკის იმ საკითხებზე, რომლებითაც მშრომელები ინტერესდებიან. და საზოგადოება „ცოდნის“ ამის სრული შესაძლებლობა აქვს. ყოველწლიურად იზრდება საზოგადოების ორგანიზაციათა მიერ მშრომელთათვის ჩატარებული ლექციების რაოდენობა. მაგალითად, 1961 წელს რესპუბლიკაში საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციების მიერ წაკითხულ იქნა 90 ათასი ლექცია, 1962 წელს — 108 ათასი, 1963 წელს — 115 ათასი, ხოლო მიმდინარე წლის 9 თვეში — 111 ათასი ლექცია, რაც 23.549-ით მეტია გასული წლის შესაბამის პერიოდში წაკითხული ლექციების რაოდენობაზე. ახლა საზოგადოება 7-ჯერ მეტ ლექციებს კითხულობს, ვიდრე ათი წლის წინათ. საზოგადოების ლექტორებს ყოველდღიურად უსმენენ 20 ათასზე მეტი მშრომელი. რესპუბლიკის ყოველ 1.000 მცხოვრებზე წელს წაიკითხება 36 ლექცია, მაშინ როცა გასულ წელს მცხოვრებთა ასეთ რაოდენობაზე ჩატარებულ იქნა 27 ლექცია.

ერთი შეხედვით ეს ციფრები მცირე როდია, მაგრამ თუ შევადარებთ საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ მიერ მიღწეულ მაჩვენებელს, დავინახავთ, რომ ამ მხრივ რესპუბლიკაში ლექციების კითხვის დონე ჯერ კიდევ დიდად ჩამორჩება.

საქართველოში შარშან ყოველ 1.000 მცხოვრებზე წაკითხული იყო მხოლოდ 27 ლექცია, მაშინ როცა ბელორუსიაში წაკითხულ იქნა 49 ლექცია, ესტონეთში — 48, უკანახეთში — 44, ლატვიაში —40, ყირგიზეთში—34, ტაჯიკეთში— 31, უკრაინაში — 86 ლექცია; მთლიანად სსრ კავშირში კი მცხოვრებთა ასეთსავე რაოდენობაზე წაკითხულ იქნა 60 ლექცია, ე. ი. ორჯერ და უფრო მეტი, ვიდრე ჩვენს რესპუბლიკაში. ამგვარად, გასული წლის მონაცემებით ლექციების ჩატარების დონის მხრივ საქართველოს უკანასკნელი ადგილი ეჭირა. თუ გავითვალისწინებთ ჩვენი რესპუბლიკის ინტელიგენციის სიმრავლეს და იმას, რომ საქართველოს მშრომელები დიდად არიან დაინტერესებულნი მაღალკვალიფიციური ლექციების მოსმენით, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს მდგომარეობა არანორმალურია.

უარესი მდგომარეობაა ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში. საზოგადოება „ცოდნის“ ბევრი ორგანიზაცია ძალზე ჩამორჩენია რესპუბლიკის საერთო დონესაც კი. მაგალითად 1963 წელს ხაშურისა და ბოლნისის რაიონებში ყოველ 1.000 მცხოვრებზე წაკითხულ იქნა მხოლოდ 8 ლექცია, ყვარლის, გურჯაანის, ახალქალაქისა და თეთრი წყაროს რაიონებში —12, გორის რაიონში — 14 ლექცია.

1964 წელს რესპუბლიკაში ლექციების კითხვა საგრძნობლად გაიზარდა. შეიძლება ითქვას, რომ წელს მივაღწევთ 150 ათასი ლექციის წაკითხვას და ყოველ 1.000 სულ მოსახლეზე მოვაწყობთ 36 ლექციას. ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციამ ყოველ ათას მცხოვრებზე წლის პირველ ნახევარში უკვე წაიკითხა 40 ლექცია, მახარაძის რაიონულმა ორგანიზაციამ — 35, ჯიათურისამ — 31, ტყიბულისამ — 30, ჩოხატაურისამ — 30. საგრძნობლად გაუძლერებია ძალობა საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციამ.

საჭიროა საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციებმა პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარებით უფრო ფართოდ გაშალონ მუშაობა. უხდა შეეძლოთ, რომ ყოველწლიურად ჩვენს რესპუბლიკაში წაკითხოთ 240 ათასი ლექცია მაინც, რითაც მივაღწევთ საერთო საკავშირო დონეს. საზოგადოების საოლქო, საქალაქო და რაიონულმა ორგანიზაციებმა გადაწყვიტეს 1965 წელს რესპუბლიკაში წაკითხულ იქნას სულ მცირე 210 ათასი ლექცია, ე. ი. საშუალოდ ყოველ ათას მცხოვრებზე 50 ლექცია.

საზოგადოების წევრთა მიერ 1963 წელს მოწყობილ ლექციებს სულ დაესწრო 5.353 ათასი მსმენელი, საქართველოში მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა რაოდენობა შეადგენს 1.500 ათას კაცს. გამოდის, რომ თვითეული მშრომელი შარშან საშუალოდ 3,5-ჯერ დასწრებია ლექციას; 1964 წლის 6 თვეში ლექციებს დასწრო 3.532 ათასი მსმენელი, ე. ი. საშუალოდ თვითეული მშრომელი ლექციას დასწრებია 2.5-ჯერ. თუ გავითვალისწინებთ, რომ მშრომელები წლის შვორე ნახევარშიც ამდენჯერვე დაესწრებიან ლექციებს, გამოვა, რომ ისინი წლის მანძილზე მოისმენენ საშუალოდ 5 ლექციას. არსებობს საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის მითითება იმის შესახებ, რომ მშრომელთა თვითეულ კოლექტივზე ყოველთვიურად აკითხებოდეს 1-2 ლექცია ან წლიურად 12-24 ლექცია. ამგვარად 12-24 ლექციის ნაცვლად საზოგადოების ორგანიზაციებმა შარშან მოაწყეს 3-4 ლექცია, ხოლო წელს მოაწყობენ 5 ლექციას, ე. ი. 3-4-ჯერ იმაზე ნაკლებს, ვიდრე სასურველია მოეწყოს.

**რესპუბლიკის** ქალაქებსა და სოფლებში ჯერ კიდევ ბევრია მშრომელთა ისეთი კოლექტივი, სადაც ლექციებს არ აწყობენ, საჭიროა ყველაფერი ეს „ცოდნის“ ორგანიზაციათა გამგეობებმა, ადგილობრივმა ხელმძღვანელმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა გაითვალისწინონ და გადამჭრელი ზომები მიიღონ სალექციო მუშაობის გასაუმჯობესებლად.

მასების კომუნისტურად აღზრდის საფუძველს, როგორც ეს სკკ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებია მითითებული, წარმოადგენს მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეები. სკკ პროგრამა, ჩვენი პარტიის ყრილობებისა და პლენუმების დოკუმენტები. ამიტომ არის, რომ ლექციების 60 პროცენტზე მეტი იკითხება სწორედ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ისეთ დარგებში, როგორიც არის სკკ ისტორია, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია, პოლიტიკური ეკონომია, სამართალი, ლიტერატურა და ხელოვნება, საერთაშორისო ურთიერთობის საკითხები და სხვ. წაკითხული ლექციების 26 პროცენტი მიძღვნილია პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა პროპაგანდისადმი.

**საზოგადოებრივ მეცნიერებათა ცოდნის მშრომელთა შორის გავრცელებას** განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კომუნიზმის მშენებელ ადამიანთა აღზრდის საქმეში. ამ ცოდნის გადაუცემლად შეუძლებელია აღვზარდოთ კომუნიზმის აქტიური და შეგნებული მშენებლები.

ჩვენში ჯერ კიდევ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ვერ ერკვევიან საზოგადოებრივი განვითარების რთულ პროცესებში. არა აქვთ პოლიტიკური და მორალური წრთობა, ქედს იხრიან ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და კულტურის წინაშე, მათ აკვირვებთ ე. წ. „თავისუფლების სამყაროს“ ბრჭყვიალა ფასადი, ისინი ლამაზად გაფორმებულ ქუჩებისა და მყვირალა რეკლამებით შემოსილი მაღაზიების მიღმა ვერ ხედავენ ბურჟუაზიული საზოგადოების ძველმანებს, ადამიანთა კულტურისა და ცხოვრების გახრწნასა და დეგრადაციას.

ჩვენ არ გვინდა დავშალოთ, რომ ზოგიერთი ლექტორი ძალზე სუსტად და უფერულად აზუქებს ამ საკითხებს, არ შესწევს ძალა საფუძვლიანად და დამაჯერებლად გამამტყუნისნი. მეცნიერ მუშაკთა, პროპაგანდისტთა უპირველესი ამოცანა ის არის, რომ საკუთრივ დაარწმუნონ უცხოეთის წარმაზე ქედისმომხრელნი თავიანთ მოსაზრებათა მეცნიერობაში.

ლექციური მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია **მეცნიერული ათეიზმის პროპაგანდა.** ყველასათვის ცნობილია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა რელიგიის მიმართ. ცნობილია ისიც, თუ რა ზიანს აყენებს ჩვენს საზოგადოებას ადამიანთა ერთი ნაწილის შეგნების შეზღუდულობა რელიგიური ცრუ შეხედულებებით. აქ საჭიროა ყველაზე კვალიფიციური, გონივრული და შემომქმედებითი მიდგომა, რადგან რელიგიის მსახურნი ოსტატურად მოქმედებენ, ინიღბებიან, მოდურად წარმოგვესახვიან, თითქოს ეზმაურებიან თანადროულობას, თავისებურად წერთნიან თავიანთ „პროპაგანდისტულ კადრებს“.

საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციები პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად სათანადო მუშაობას ეწევიან მშრომელთა შორის მეცნიერული ათეიზმის პროპაგანდის დარგში. 1963 წელს ათეიზმის საკითხებზე რესპუბლიკაში მოეწყო 5.200 ლექცია, ხოლო მიმდინარე წლის მარტო პირველ ნახევარში — 3.600 ლექცია, მაგრამ ამ დარგში მუშაობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელად მიმდინარეობს. ათეისტურ პროპაგანდაში ჩაბმული არ არიან მეცნიერების სხვადასხვა დარგის კვალიფიციური კადრები, ბევრ შემთხვევაში მათს ლექციებს აკლია დამაჯერებლობა, მეცნიერული, ლოგიკური არგუმენტაცია, ზოგჯერ ისინი ვერ ახერხებენ გამონახონ და გამოიყენონ სხვადასხვა ფორმა მორწმუნეთა შორის მუშაობის გასაშლელად. ზოგიერთ რაიონში ლექციებიც არასაკმაოდ აკითხება. მაგალითად, ათეიზმის საკითხებზე გურჯაანში ყოველთვიურად აკითხება მხოლოდ 3 ლექცია, ლანჩხუთში — 3, მარნეულში — 1-2. ათეიზმებელია როგორც აღნიშნული, ისე რესპუბლიკის სხვა რაიონების პარტიულმა და საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციებმა უფრო სერიოზულად მოჰკიდონ ხელი ათეისტური პროპაგანდის გაუმჯობესების საქმეს.

როგორც ცნობილია, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია სოფლის მეურნეობის განვითარების გენერალური მიმართულება გახდა. სოფლის მშრომელები დახმარებას ელიან სწორედ სახლხო მეურნეობის ამ დარგში, რომელიც მათ შესაძლებლობის მისცემს აქტიური მონაწილეობა მიიღონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების წინაშე პარტიის მიერ დასახული უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაჭრაში.

ამის აიხსნება ის უმნიშვნელოვანესი ადგილი, რომელიც საზოგადოების ლექციურ პროპაგანდაში უჭირავს სოფლის მეურნეობის საკითხების პროპაგანდას. საკრძნობლად გაიზარდა ლექციების კითხვა აგრონომიულ, ქიმიის, ბიოლოგიის, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკითხებზე. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში წაკითხული იყო 16.274 ლექცია. ეს საერთოდ ცოტა რიცხვია, მაგრამ მთელ რიგ რაიონებში ამ საშუალო მაჩვენებლებს ეფარებიან და არასაკმაოდ კითხულობენ ლექციებს და სასკითხებზე. უკანასკნელ პერიოდში სოფლის მეურნეობის საკითხებზე საშუალოდ თვეში აკითხება: თიანეთში — 9, ლენტეხში — 5 ლექცია, ხოლო სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკითხებზე — მაიაკოვსკში — 1, გორის რაიონში — 1, ბოლნისის რაიონში —1 ლექცია. სოფლის მეურნეობის მოწინავე ბრიგადიერებზე ამავე პერიოდში მოეწყო: ზესტაფონში — 8, მაიაკოვსკში — 5, ბოლნისში — 14, ახალქალაქში — 18 ლექცია, რაც, ცხადია, სრულიად არ არის საკმარისი. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ამ რაიონებში. ბევრი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და მეცხოველეობის ფერმაა და მშრომელთათვის თვეში ერთი-ორი ლექცია მაინც უნდა იკითხებოდეს.

ლექციური პროპაგანდის არსებითი ნაკლი ის არის, რომ იშვიათად, იყენებენ ან თითქმის სულაც არ იყენებენ თვალსაჩინოებას ლექციურ მუშაობაში. იშვიათად შეხვდებით ისეთ ლექტორს, რომელიც იყენებდეს თვალსაჩინო მასალებს, რუკებს, დიაგრამებს, პლაკატებს, დიაფილმებს და სხვ. ახლახან საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციებმა მიიღეს მცირეგაბარიტიანი დიაპროექტორი დმ-2 „სინიალეგ“ დიაფილმებისა და დიაპოზიტივების ჩვენებისათვის. ადგილებზე სისტემატურად და დიდი რაოდენობით იგზავნება აგრეთვე დიაფილმები და დიაპოზიტივები. ახლა საჭიროა ფართოდ გამოვიყენოთ ეს საშუალებანი ლექციების მოწყობის დროს როგორც რაიონულ ცენტრებში, ისე სოფლებში. ამ საქმეში უფრო აქტიური მუშაობა უნდა აწარმოონ პარტიული განათლების „ცოდნის“ ორგანიზაციებმაც.

ლექციურ მუშაობაში თვალსაჩინო საშუალებათა გამოყენებაზე რომ ვლაპარაკობთ, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოველივე ეს საქმის მხოლოდ დასაწყისია. ჯერ კიდევ არა გვაქვს დიაფილმები და დიაპოზიტივები ქართულ ენაზე, ვერ ვიყენებთ სამეცნიერო-ტექნიკურ და დოკუმენტურ კინოფილმებს. საჭიროა საზოგადოება „ცოდნამ“ კულტურის სამინისტროსა და კინოფიკაციის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად შექმნას **ქართული დიაფილმები და დიაპოზიტივები.** ამასთანავე სისტემატურად უნდა ვიზრუნოთ თვალსაჩინო პროპაგანდის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, მოძრავი კინოდანადგარებისა და სხვა საშუალებათა **გამოყენებით.**

**საბჭოთა** ხალხის კულტურულ ცხოვრებაში უკანასკნელ პერიოდში საპატიო ადგილი დაიკავეს **სახალხო უნივერსიტეტებმა.** სსრ კავშირში ამჟამად 13 ათასზე მეტი სახალხო უნივერსიტეტია, რომლებშიც 2,5 მილიონი კაცი სწავლობს. რესპუბლიკაში არსებულ 85 სახალხო უნივერსიტეტში 15 ათასზე მეტი მსმენელი იძაღლებს თეორიულ-კულტურულ დონეს და საკმაოდ კვალიფიკაციას. აქ სტუდენტს არ გავიგონებ ამ ნაყოფიერი და საინტერესო მუშაობის შესახებ, რასაც სახალხო უნივერსიტეტები ეწევიან. წელს მოეწყო სახალხო უნივერსიტეტების მუშაობის პირველი რესპუბლიკური დათვალიერება, რომელშაც ბევრი რამ სასინტერესო და საყურადღებო გამოავლინა. მაგრამ ჯერ კიდევ უნდა შევნიშნოთ, რომ სახალხო უნივერსიტეტების ახლანდელი ქსელი, რა საუკეთესოდაც უნდა მუშაობდეს, მაინც არ არის საკმარისი. მთლიანად სსრ კავშირში ერთი სახალხო უნივერსიტეტი მოდის 18 ათას სულ მოსახლეზე, საქართველოში კი 50-ათას სულზე. ეს ამას ნიშნავს, რომ სსრ კავშირის მოსახლეობის რაოდენობასთან შედარებით სახალხო უნივერსიტეტების ქსელი ჩვენს რესპუბლიკაში 2,8-ჯერ დაბალია. რესპუბლიკის 15 რაიონში დღემდე არც ერთი სახალხო უნივერსიტეტი არ არსებობს.

სახალხო უნივერსიტეტებისადმი ხელმძღვანელობას არსებითი გაუმჯობესება ესაჭიროება. ლიკვიდირებულ უნდა იქნას პარალელიზმი და გაუპიროვნება ამ საქმეში. ნახავთ სახალხო უნივერსიტეტს და ზოგჯერ ვერ გეტყვიან, ვის ეკუთვნოდა იგი. ყველა მათგანს მიაჩნია, რომ ის არის საზოგადოება „ცოდნის“ სისტემაში. საზოგადოება „ცოდნა“ მოწოდებულია მეთოდური ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიოს მათ. იგი შეიცდება ეს მოვალეობა ომმავალში უკეთესად შეასრულოს, მაგრამ აქ მთავარია ის, რომ ყველა უწყება თუ ორგანიზაცია უშუალოდ აგებდეს პასუხს თავის ლიკვიდირებულ სახალხო უნივერსიტეტების მუშაობისათვის, ქსელის ზრდისა და ეფექტიანი მატერიალური ბაზის შექმნისათვის. ამასთანავე სახალხო უნივერსიტეტების მთელი ორგანიზაციული და სამეცნიერო მეთოდური მუშაობა უნდა მოექცეს ერთ რესპუბლიკურ ორგანოში, რათა შესაძლებელი იყოს მათი მუშაობის კოორდინაცია.

საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ რესპუბლიკის ინტელიგენციის ერთი ნაწილი არ მონაწილეობს საზოგადოება „ცოდნის“ მუშაობაში. ლექციური პროპაგანდის გაზრდილი ამოცანების გადაწყვეტა შეუძლებელია საზოგადოების ორგანიზაციათა აშკარად არსებული შემადგენლობით, საჭიროა მისი რაოდენობის გაზრდა.

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“ თავის რიგებში ითვლის 15.000 წევრს, რაც რესპუბლიკაში მომუშავე უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა საერთო რაოდენობის 12 პროცენტს შეადგენს. ეს ციფრი ნათლად გვიჩვენებს საქმის ვითარებას და კომენტარს არ საჭიროებს. უფრო მეტიც. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებული 11.200 სოფლის მეურნეობის სპეციალისტიდან საზოგადოება „ცოდნის“ წევრად ითვლება მხოლოდ 350 კაცი, ე. ი. ამ სპეციალისტთა 3 პროცენტი. სახალხოდ ორგანიზაციებში არასაკმარისად არიან ინჟინრები, ექიმები, ეკონომისტები, აგრონომები.

უარესი მდგომარეობაა საზოგადოების ზოგიერთ რაიონულ ორგანიზაციაში (**საჩხერე, ყვარელი, ახალქალაქი, ხაშური** და სხვ.). ცხადია, ზედმეტია ლაპარაკი სასოფლო-სამეურნეო ცოდნის საერთაშორისო სამეურნეო ცოდნის საერთაშორისო ცოდნის ფარგლებში ლექტორთა კადრების დონეზე.

განსაკუთრებით აუცილებელია საზოგადოების ლექციურ მუშაობაში მოვიხიდოთ სამეცნიერო და შემომქმედებითი ორგანიზაციების კვალიფიციური მუშაკები, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის საუკეთესო სპეციალისტები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები. ლექციურ პროპაგანდაში კვალიფიციური სპეციალისტების ჩაბმით შეგვიძლია არა მარტო გავზარდოთ ლექციების რაოდენობა, არამედ გავაუმჯობესოთ მათი ხარისხიც.

საზოგადოების ორგანიზაციების დიდი ნაწილი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ლექციური პროპაგანდის ხარისხისა და მიმართულების ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებას. ბევრი ლექტორი პასუხისმგებლობით ეკიდება ლექციას, თემას უკავშირებს პრაქტიკას, ცხოვრების საჭირო

ᲕᲔᲠ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲑᲔᲜ!

# ᲑᲝᲑᲝᲥᲐᲠᲘ ᲙᲝᲜᲤᲘᲜᲔᲜᲪᲘ

## ᲐᲤᲠᲘᲙᲐ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ

ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ გამოსვლა საერთაშორისო ასპარეზზე სერიოზულ შეშფოთებას იწვევს პარიზსა და ლონდონში, ვაშინგტონსა და ბრიუსელში. აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოებს, რომლებსაც სოციალისტური ქვეყნები უჭერდნენ მხარს, არაერთხელ მოუქცევიათ ჩიხში იმპერიალისტ სტრატეგები, შეუცვლევინებიათ მათთვის ტაქტიკა, ჩაუფუშავთ მათი გეგმები.

ფაქტები მოწმობენ, რომ აფრიკის ხალხთა მასების როლი თავიანთი ქვეყნების შემდგომი ბედის განსაზღვრაში დღითიდღე ძლიერდება.

მაგრამ კოლონიზატორებს ხელი არ აუღიათ თავიანთ ცდებზე დაიმონონ აფრიკა. როგორც ცნობილია, ზოგიერთი ვინმე ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ უფრო ხშირად აკრიტიკებს თავის ნატოელ პარტნიორებს იმისათვის, რომ ისინი კონტინენტზე საკმაოდ მოქნილად და „კულტურულად“ ვერ მოქმედებენ. ამერიკის შეერთებული შტატები ემხრობიან უფრო მანევრულ პოლიტიკას აფრიკაში, ვიდრე ის პოლიტიკაა, რომელსაც პორტუგალია და ბელგია ახორციელებენ. მაგრამ როცა საქმე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ეხება, ყოველი და ახალი კოლონიზატორები ერთიანდებიან.

ამის მაგალითია მრავალტანჯული კონგოლუმუმბას და მისი თანამებრძოლების მოკვლით იმპერიალისტთა დაქირავებულებმა მძიმე ლაბავარი ჩასცეს კონგოელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ყოველივე ამან ძლიერი ზეგავლენა მოახდინა ქვეყნის პოლიტიკურ განვითარებაზე. კონგოს საქმეებში დასავლეთის სახელმწიფოთა ჩარევამ კონგოს შინაპოლიტიკური მდგომარეობის გაუწყვიტა გამოწვევა. ამერიკის შეერთებული შტატების, ბელგიისა და ინგლისის იმპერიალისტების პირდაპირი აგრესია კონგოს წინააღმდეგ მთელი აფრიკის გამოწვევაა. აფრიკის ყველა ქვეყანა კონგოელი ხალხის მხარეზეა, გმობს დასავლეთის სახელმწიფოთა აგრესიას. კონგოს პატრიოტების მხარეზეა ყველა პროგრესული ადამიანი. სსრ კავშირის მთავრობამ დაკმა აგრესია და მოითხოვა დაუყოვნებლივ შეწყდეს ჩარევა კონგოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში.

როგორც ცნობილია, იმპერიალიზმი ინარჩუნებს აფრიკის კონტინენტზე კოლონიალიზმის ისეთ დიდნიშვნელოვან ბასტიონებსაც, როგორიც არის პორტუგალიის კოლონიები და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. რასობრივი დამონების სისტემა (აპარტეიდი) დღემდე რჩება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურ პოლიტიკად. ეს პოლიტიკა ნიშნავს ამ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის დისკრიმინაციას ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში.

განთავისუფლებული ქვეყნების ბრძოლა აპარტეიდის წინააღმდეგ აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის ხაზით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ბოლოს აფრიკელთა გამოსვლები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის შიგნით შეესაბამება ადამიანის უფლებათა დაცვის, საერთაშორისო უშიშროების, მთელ კონტინენტზე პოლიტიკური ატმოსფეროს გაჯანსაღების ინტერესებს.

აი რატომ ისწრაფვის იმპერიალიზმი შეინარჩუნოს თავისი პოზიციები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. აფრიკაში ანტიიმპერიალისტური რევოლუციის შემდგომი ბედი ბევრად არის დამოკიდებული საერთაშორისო სოლიდარობის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პროგრესული ძალების ერთიანობის ზრდასა და განმტკიცებაზე. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მუშათა კლასი 2 მილიონზე მეტ კაცს ითვლის (ამ ქვეყნის თექვსმეტმილიონიანი მოსახლეობიდან). უკანასკნელ ხანს აქ მკვეთრად გადიდდა გაფიცვათა რიცხვი. სამუშაოზე გაუსვლელობა, რასისტული ფირმების საქონლის ბოიკოტი, ბრძოლა ხელფასის მომატებისათვის.

ახლა აღარავის აქვს ეჭვი, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა რეაქციული წრეები მდუმარედ იწონებენ დიქტატორ სალაზარის სისხლიან რეპრესიებს პორტუგალიის კოლონიებში, ისინი მას დახმარებასაც კი უწევენ იარაღით. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ პორტუგალიის კოლონიებში გარდუვალია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვება. ეს გამარჯვება, უეჭველია, გააძლიერებს აგრეთვე რევოლუციურ სიტუაციას თვით პორტუგალიაში, ამასთან ფრანკისტულ ესპანეთშიც.

მაგრამ არა მარტო პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში წყდება აფრიკის მომავალი. აფრიკის ქვეყნების უდიდესი უმრავლესობისათვის დადგა რევოლუციის მეორე ეტაპი: ეკონომიური დამოუკიდებლობის მოპოვება.

მონოპოლიზრობის შავბნელმა დროებამ, იმპერიალისტური ყაჩაღობის, ძარცვისა და ტომთა შორის შუღლის ათეულმა წლებმა განაპირობა აფრიკის სახელმწიფოთა ახლანდელი ჩამორჩენა ეკონომიკისა და კულტურის დარგში.

რა თქმა უნდა, აფრიკის ბევრმა განთავისუფლებულმა ქვეყანამ უკვე მოიპოვა გარკვეული წარმატებანი ეკონომიკისა და კულტურის სხვადასხვა დარგში.

აფრიკა ცდილობს თავი დააღწიოს ჩამორჩენილობის მარწუხს, ხელიდან გააგდებინოს იმპერიალისტს ექსპლოატაციის ეს ყველაზე მძლავრი ბერკეტი.

მაგრამ აფრიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოების მიერ მიღწეული პირველი წარმატებები, ბუნებრივია, ვერ დაფარავს იმ სიძნელეებს, რომლებსაც ისინი აწყდებიან: აკლიათ ეროვნული კაპიტალები, კვალიფიციური კადრები. იმპერიალისტური პროპაგანდა ცდილობს ჩაუნერგოს აფრიკელებს ის აზრი, რომ თითქოს მხოლოდ კაპიტალისტური განვითარების, კერძო მეწარმეობის გზით შეიძლება მიაღწიონ ეკონომიკის აღმავლობასა და ცხოვრების დონის ამაღლებას.

მაგრამ აფრიკაში ყველგან სოციალისტებზე ლაპარაკობენ. კაპიტალიზმი აფრიკის მუშათა კლასისა და გლეხობის, ინტელიგენციისა და პროგრესული ძალების ერთიანობის ზრდასა და განმტკიცებაზე. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მუშათა კლასი 2 მილიონზე მეტ კაცს ითვლის (ამ ქვეყნის თექვსმეტმილიონიანი მოსახლეობიდან). უკანასკნელ ხანს აქ მკვეთრად გადიდდა გაფიცვათა რიცხვი. სამუშაოზე გაუსვლელობა, რასისტული ფირმების საქონლის ბოიკოტი, ბრძოლა ხელფასის მომატებისათვის.

ახლა აღარავის აქვს ეჭვი ის, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა რეაქციული წრეები მდუმარედ იწონებენ დიქტატორ სალაზარის სისხლიან რეპრესიებს პორტუგალიის კოლონიებში, ისინი მას დახმარებასაც კი უწევენ იარაღით. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ პორტუგალიის კოლონიებში გარდუვალია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვება. ეს გამარჯვება, უეჭველია, გააძლიერებს აგრეთვე რევოლუციურ სიტუაციას თვით პორტუგალიაში, ამასთან ფრანკისტულ ესპანეთშიც.

მაგრამ არა მარტო პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში წყდება აფრიკის მომავალი. აფრიკის ქვეყნების უდიდესი უმრავლესობისათვის დადგა რევოლუციის მეორე ეტაპი: ეკონომიური დამოუკიდებლობის მოპოვება.

მონოპოლიზრობის შავბნელმა დროებამ, იმპერიალისტური ყაჩაღობის, ძარცვისა და ტომთა შორის შუღლის ათეულმა წლებმა განაპირობა აფრიკის სახელმწიფოთა ახლანდელი ჩამორჩენა ეკონომიკისა და კულტურის დარგში.

რა თქმა უნდა, აფრიკის ბევრმა განთავისუფლებულმა ქვეყანამ უკვე მოიპოვა გარკვეული წარმატებანი ეკონომიკისა და კულტურის სხვადასხვა დარგში.

აფრიკა ცდილობს თავი დააღწიოს ჩამორჩენილობის მარწუხს, ხელიდან გააგდებინოს იმპერიალისტს ექსპლოატაციის ეს ყველაზე მძლავრი ბერკეტი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲝ: ზევით — მხატვარ ნ. ვატოლინას პლაკატი „ეცხოვრობთ თავისუფალ აფრიკაში“; ქვევით — ამ ტანზანიელმა გოგონამ უკვე დაამთავრა ტრაქტორისტთა კურსები. ტანზანიის მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს საკუთარი ეროვნული კადრების შექმნას, ამიტომაც არის, რომ სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კურსებზე მრავალი ტანზანიელი ქალვაჟი სწავლობს.

(საკადესის ფოტოქრონიკა).

## ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘ ᲐᲤᲠᲘᲙᲐ

იღვიძებს აფრიკა, იმსხვრევა ბორკილი,
ნანატრი გრიგალი უბერავს.
არწივი აფრინდა ქარიშხლით შობილი,
დიდება გმირულ სულს — ბუმბერაზს!
ღრუბლები სტოვებენ სამხრეთის ლაჟვარდებს,
ღმუიან უდაბნოს ლომები;
ძირს აგდებს, ძირს აგდებს შავ ოქროს გასალებს
აფრიკის მახვილით მპყრობელი.
არ შედრკეთ, არ შედრეკეთ, გმირებო,
ნანატრი გრიგალი უბერავს.
ასწიეთ დროშები, გულში მზემ იელვოს,
დიდება მებრძოლ სულს — ბუმბერაზს!

** Დ. ᲮᲐᲮᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**
ონი.

## ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘ ᲐᲤᲠᲘᲙᲐ

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ**, 29 ნოემბერი. (საკადესი). მეხუთე დღეა გაფთრებული ბრძოლები წარმოებს ნახანძრალის კვამლში გახვეულ კონგოს ქალაქ სტენლივილში. მიუხედავად მოწინააღმდეგის ჯარი ძალებისა, პაერიდან დაბომბვისა და განუწყვეტელი საარტილერიო ცეცხლისა აჯანყებულნი ყალავინდებულად ინარჩუნებენ ქალაქის რაიონებს მდინარე კონგოს მარცხენა ნაპირზე. როგორც რეიტერის საგენტმოს კორესპონდენტი იუწყება, თეთრკანიან დაქირავებულთა წინამძღოლმა მაიორმა პორმა უბრძანა მის განკარგულებაში მყოფ ავიაციას რაკეტული ყუმბარები დაუშინოს აჯანყებულთა პოზიციებს. აჯანყებულთა ცალკეული ჯგუფები თავს ესხმიან თეთრკანიანი დაქირავებულებსა და ლუპოლდვილის ჯარების საგუშაგოებსა და რაზმებს, რომლებიც გაწლაგებული არიან ქალაქის ცენტრალურ მარცხენა ნაპირის ნაწილსა და სტენლივილის აეროდრომის რაიონში.

## ᲩᲝᲛᲑᲔ ᲙᲐᲠᲘᲖᲨᲘ

**ᲙᲐᲠᲘᲖᲘ**, 30 ნოემბერი. (საკადესი). დღეს პარიზში ჩამოფრინდა ჩომბე. არ ყოფილა რამე ოფიციალური ცნობა მისი ვიზიტის მიზნების შესახებ. აეროდრომზე მან განაცხადა, პარიზში ორ-სამ დღეს დავრჩები და ლეოპოლდვილში დაბრუნდებიო. ჩომბემ თქვა, რომ პარიზს შეხვდეს საფრანგეთის მაღალი თანამდებობის სახელმწიფო მოღვაწეებს. „ვნახავ, ალბათ, ხვალ გენერალ დე გოლს, — განაცხადა მან. — მადლობას გადავუხდი კონგოს მთავრობის სახელით იმ გაგებისათვის, რომელიც პირადად მან და მისმა მთავრობამ გამოიჩინეს ჩემი ქვეყნის მიმართ იმ მომენტში, როცა იგი ძალიმ მდგომარეობაშია“.

საფრანგეთის დემოკრატიული საზოგადოებრიობა აღშფოთებულია ამ ვიზიტის გამო. „ჭკვიანი ჩომბე პარიზშია“— ნათქვამია გაზეთ „ლუმანიტეს“ დიდ სათაურში.

## ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲜ

**ᲙᲐᲘᲠᲝ**, 30 ნოემბერი. (საკადესი). დაყუნებული მოქმედების ბომბი აფეთქდა მასაკაში ინგლისის მარიონეტის — ომანისა და მასკატის სულთნის სად ებნ თაიმურის სასახლის ერთ-ერთ დარბაზში, იუწყება მენის საგენტო. აფეთქების შედეგად დახოცილია სულთნის გვარდიის რამდენიმე ჯარისკაცი. სასახლე საგრძნობლად დაზიანებულია. ეს ცნობა მიიღო „ომანის განთავისუფლების ფრონტის“ წარმომადგენლობამ კაიროში ომანელ აჯანყებულთა სარდლობისაგან.

## ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲔᲮᲣᲗᲔ ᲓᲦᲔ

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ**, 29 ნოემბერი. (საკადესი). მეხუთე დღეა გაფთრებული ბრძოლები წარმოებს ნახანძრალის კვამლში გახვეულ კონგოს ქალაქ სტენლივილში. მიუხედავად მოწინააღმდეგის ჯარი ძალებისა, პაერიდან დაბომბვისა და განუწყვეტელი საარტილერიო ცეცხლისა აჯანყებულნი ყალავინდებულად ინარჩუნებენ ქალაქის რაიონებს მდინარე კონგოს მარცხენა ნაპირზე. როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, თეთრკანიან დაქირავებულთა წინამძღოლმა მაიორმა პორმა უბრძანა მის განკარგულებაში მყოფ ავიაციას რაკეტული ყუმბარები დაუშინოს აჯანყებულთა პოზიციებს. აჯანყებულთა ცალკეული ჯგუფები თავს ესხმიან თეთრკანიანი დაქირავებულებსა და ლეოპოლდვილის ჯარების საგუშაგოებსა და რაზმებს, რომლებიც გაწლაგებული არიან ქალაქის ცენტრალურ მარცხენა ნაპირის ნაწილსა და სტენლივილის აეროდრომის რაიონში.

## ᲡᲣᲓᲐᲜᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲡ

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ**, 30 ნოემბერი. (საკადესი). რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი ხართუმიდან იუწყება, რომ სუდანის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა და სამხრეთ სუდანის პროვინციის ეკვატორიის გუბერნატორმა უარყვეს ცნობები, თითქოს კონგოელ აჯანყებულთა ოთხი ლიდერი სუდანის სამხრეთში ჩასულიყოს.

## ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ ᲒᲕᲐᲪᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ

**ᲑᲣᲔᲜᲡᲐᲘᲠᲘᲡ.** ნაადრევ დაბერებასთან ბრძოლის მიზნით რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებთან და სახელმწიფო მეურნეობებთან გახსნილია 115 გერონტოლოგიური პუნქტი. აქ უსასყიდლოდ იკვლევენ და სათანადოდ მკურნალობენ 45-დან 60 წლამდე ასაკის 10 ათასამდე კაცს.

ხანგრძლივი სიცოცხლის პრობლემებზე სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას და ხანდაზმული მოსახლეობის სპეციალურ მომსახურებას ეწევიან სამედიცინო ინსტიტუტი „ბუქურეშტი“, სხვადასხვა სამკურნალო დაწესებულებანი, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საოლქო განყოფილებანი.

ბუნბერა. ავსტრალიის აღმოსავლეთ ნაწილში უკანასკნელ დღეებში ზაფხულის დადგომისათვის უჩვეულოდ ცივი ამინდი დადგა. სიდნეიში ჰაერის ტემპერატურა ჩრდილში 40 გრადუსამდე იყო. სიდნეის ათობით მცხოვრებს მზემ დაკარა. აქედან სამი შემთხვევა სიკვდილით დამთავრდა. ახალი სამხრეთი უელსის შტატის მთელ რიგ რაიონებში ტყის დიდი ხანძრები გაჩნდა.

**ᲞᲐᲠᲘᲖᲘ.** 25 ნოემბრის ღამით აღმოსავლეთ სლოვაკიაში ძლიერი ქარბუქი იყო. ქარის სისწრაფე საათში 100-180 კილომეტრს აღწევდა. მატერიალური ზარალი მოუყენა სატყეო მეურნეობას, ენერგეტიკულ ნაგებობებს, ტრანსპორტს, მშენებლობებსა და შენობებს, ბევრგან დაზიანებულია კავშირგაბმულობის ხაზები.

# ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ

## ᲛᲘᲖᲐᲜᲘ: ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

**ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ**, 30 ნოემბერი. (საკადესი). გუშინ აქ სპეციალური თვითმფრინავით ჩამოვიდა სსრ კავშირის დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მეთაურობით. დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის XIX სესიაში. საბჭოთა კავშირის დელეგაციის შემადგენლობაში შედიან საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნ. ტ. ფედორენკო, საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ს. კ. ცარაპკინი, ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ბ. ბეგმატოვი, აგრეთვე დელეგაციის წევრთა მოადგილეები და მრჩევლები.

ნიუ-იორკის აეროპორტში ჩასვლის შემდეგ ა. ა. გრომიკომ გააკეთა შემდეგი განცხადება:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაწილე სახელმწიფოები პირველად როდი გზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს გენერალურ ასამბლეაზე, რომ ერთად მოიფიქრონ ომის თავიდან აცილებისა და მშვიდობის შენარჩუნების გზები. საბჭოთა მთავრობა, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, სავსებით მზად არის სხვა სახელმწიფოებთან ერთად ითანამშრომლოს ამ დიდი მიზნის მიღწევის საქმეში.

### Ა. Ა. ᲒᲠᲝᲛᲘᲙᲝᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

მოკლედ რომ ვთქვათ, აქ ჩამოვედით, რათა დავიცვათ მშვიდობა, დავიცვათ ხალხთა დამოუკიდებელი განვითარების უფლება, დავიცვათ თვით გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელიც სწორედ ამისათვის შეიქმნა, რომ ომის უბედურებისაგან იხსნას კაცობრიობა.

ჩვენ ვიხელმძღვანელებთ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მშვიდობისმოყვარული კურსით და დავიცავთ იმ აზრს, რომ საჭიროა განიარაღება, კოლონიური წესების სრული ლიკვიდაცია, საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და პირდაპირ ვამბილებთ მოქმედებას, რომელიც აძლიერებს გამალებულ შეიარაღებას, დაძაბულობას როგორც ევროპაში, ისე მსოფლიოს სხვა რაიონებში.

ყველა, ვინც იცავს ხალხთა მშვიდობასა და დამოუკიდებლობას, ჩვენთან ერთად იქნება როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარეთ, ისე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაშიც.

დასასრულ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ საბჭოთა დელეგაციის სახელით ყოველივე საუკეთესო უსურვა ამერიკელ ხალხს.

## ᲡᲔᲜᲐᲢᲝᲠᲘ ᲘᲬᲝᲜᲔᲑᲡ

**ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ**, 30 ნოემბერი. (საკადესი). სენატორმა რასელ ლონგმა (დემოკრატი, ლუიზიანის შტატი) განაცხადა, რომ შეერთებულმა შტატებმა დახმარება უნდა გაუწიონ ჩომბეს მთავრობას, სანამ იგი ამას თხოულობს.

ლონგმა მოიწონა ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობა სტენლივილში საპარაშუტო დესანტის გადასხმაში, რომელიც თითქოს განხორციელდა კონგოში მყოფ ევროპელთა გადასარჩენად. უფრო მეტიც, მან მოითხოვა აგრესიის განგრძობა და განაცხადა, რომ შეერთებული შტატები მზად უნდა იყვნენ განხორციელონ მომავალში საკუთარი „საშველი ოპერაცია“ კონგოში.

## ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ...

**ᲑᲝᲜᲝ**, (საკადესი). ვაშინგტონიდან დაბრუნდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი შრეკერი. მან გააკეთა განცხადება, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფო მდეკან რასყოან და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა ოფიციალურ პირებთან მოლაპარაკების დროს დაურეკლებით განიხილეს ხატოს მრავალმხრივი რაკეტულ-ატომური ძალების შექმნის პროექტი.

მისი სიტყვით, მოლაპარაკების დროს „განიხილეს თავდაცვის საკითხები და უშინაარეს ყოველისა ატომური დაგეგმვისა და კონტროლის პრობლემები“. შრეკერის გამონათქვამებიდან აგრეთვე ჩანს, რომ ვაშინგტონში მისი ყოფნის დროს მოხდა აზრთა გაზიარება გერმანიისა და სხვა საკითხებზე.

## Უ. ᲩᲠᲩᲘᲚᲘ 90 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

**90 ᲬᲚᲘ** შეუსრულდა ინგლისის ყოფილ პრემიერ-მინისტრს და კონსერვატიული პარტიის ლიდერს უინსტონ ჩერჩილს. იგი უკვე დიდი ხანია აქტიურ მონაწილეობას არ იღებს ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჩერჩილის 90 წლისთავს ფართოდ აღნიშნავენ ინგლისში.

## ᲛᲝᲠᲡ ᲣᲛᲘᲖᲜᲔᲑᲔᲑᲘ

**ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ**, 30 ნოემბერი. (საკადესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში მოკალათებული კუბელი კონტრრევოლუციონერი ნაძირალები ერთგულად ემსახურებიან თავიანთ ბატონებს იქ, სადაც საჭიროა მათი ბინძური სამსახური. ამასთან, გზავნიან რა მათ მსოფლიოს სხვადასხვა აეროპში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ისახავენ ორგვარ მიზნებს: დახმარება გაუწიონ თავიანთ მარionეტებს და საშუალება მისცენ კონტრრევოლუციონერებს „გაიარონ პრაქტიკა“, რათა მოემზადონ მომავალი სამხედრო ინტერვენციებისათვის რევოლუციური კუბის წინააღმდეგ. როგორც ასოციეიტედ პრესის საგენტო იუწყება, ინფორმაციის ერთ-ერთ ინფორმირებულ წყაროებს, ბრძოლებში კუბელის აჯანყებულთა წინააღმდეგ ახლა მონაწილეობას იღებს 300-მდე კუბელი ემიგრანტი. „ამ კუბელებს, — აღნიშნავს საგენტო, — შეგვიძლია ვეუწოდოთ დაქირავებულნი, რამდენადაც ისინი ჯამაგირს იღებენ სამსახურისათვის, მაგრამ ფაქტიურად ემზადებიან მომავალი სამხედრო ოპერაციებისათვის კუბის წინააღმდეგ“. კუბელ მთავრობასთან დადებული კონტრაქტის თანახმად, ისინი ავტომატურად დატოვებენ სამსახურს, როგორც კი დაიწყება ოპერაციები კუბის წინააღმდეგ.

## ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲔᲑᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ

**ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ** მოსწავლეები — 14 წლის იური პოპოვი და 13 წლის ირინე ტოლსტიკოვა ახლა შეერთებულ შტატებში არიან. ისინი მიიწვია ეი-ბი-სის სატელევიზიო კომპანიამ „დისკუსიის“ პროგრამის გადაღებაში მონაწილეობისათვის.

„დისკუსიერი“, რაც ნიშნავს „აღმოჩენას“, განკუთვნილია ბავშვთა აუდიტორიისათვის და გადაიცემა დილ-დილობით კვირა დღეს.

„დისკუსიერის“ პროგრამის შემქმნელები აპირებენ განაგრძონ მოთხრობა მოსკოველ მოსწავლეებზე და აჩვენონ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ბავშვების შეხვედრა. გადაღების განსაგრძობად — ამჟამად ნიუ-იორკში — მიიწვიეს ამერიკელი ტელემაყურებლებისათვის უკვე ცნობილი იური და ირინე. ისინი კარგად ფლობენ ინგლისურ ენას!

ამერიკის საზოგადოებრიობა გულწრფელი კეთილმოსურნეობით შეხვდა ბავშვების ასეთ ვიზიტს, რომელიც მიუღია სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის ისტორიაში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲪᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ
ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

## ᲒᲔᲚᲒᲘᲔᲚ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲒᲐ

**ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ**, 30 ნოემბერი. ბელგიის კომუნისტური პარტიის XV ყრილობის გუშინდელ დღის სხდომაზე ყრილობის მონაწილეებმა დაამთავრეს განხილვა ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენებისა, რომელიც გააკეთა ბელგიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ერნესტ ბიურნელმა. ყრილობის დელეგატებმა ერთხმად მოიწონეს ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენება.

ყრილობამ აირჩია ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი 60 კაცის შემადგენლობით.

ყრილობამ საჭიროდ მიიჩნია კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მოწვევა.

ყრილობამ მუშაობა დაამთავრა პროლეტარიატის რევოლუციური ჰიმნის — „ინტერნაციონალის“ სიმღერით.

დღეს გაიმართა ახალი შემადგენლობის ცენტრალური კომიტეტის პირველი სხდომა, რომელზეც აირჩიეს ბელგიის კომუნისტური პარტიის პოლიტიბიუროს, სამდივნოს წევრები და თავმჯდომარე.

ბელგიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს ერნესტ ბიურნელი, თავმჯდომარის მოადგილედ — რენე ბეელენი და ფრანს ვან დენ ბრანდენი. ჟან ბლუმი, მარკ დრიუმო, ალბერ დე კონინკი არჩეული არიან ბელგიის კომუნისტური პარტიის ეროვნულ მდივნებად.

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ

## ᲠᲐᲖᲔ ᲬᲔᲠᲓᲐ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ

**ᲑᲔᲚᲒᲘᲐ** ადგილი უკავია გაზეთების ფურცლებზე ინფორმაციას ნატოს მოსაწილე ქვეყნებისა და „საერთო ბაზრის“ ქვეყნების უთანხმოების შესახებ. ინგლისის პრესა უარაყოს ხმების, თითქოს ინგლისის შეიარაღებული ძალების რიცხვი უნდა შემცირდეს დასავლეთ გერმანიაში. ამავე დროს „გარდიანი“ და „დეილი ექსპრესი“ აცხადებენ, რომ იმ მომჭირნეობის ძირითადი წყარო, რომლის შესახებაც ლეიბორისტულმა მთავრობამ გამოაცხადა, შეიძლებოდა გამხდარიყო რაინის არმიის შეხახვის ხარჯების შემცირება. ზოგიერთი მიმომხილველი გადაკვრით წერს, რომ დასავლეთ გერმანიაში ინგლისის შეიარაღებული ძალების რიცხვის შემცირების საკითხი ლონდონმა შეიძლება გამოიყენოს როგორც ერთ-ერთი საშუალება თავის ნატოელ მოკავშირეებზე ზეგავლენისათვის, კერძოდ, დასავლეთ გერმანაზე ზეგავლენისათვის, რომელიც არ ასრულებს თავის ვალდებულებას სამხედრო შეკვეთების ინგლისში გადაგილების შესახებ.

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ**, „დეილი ტელეგრაფი“ წერს, რომ ბრიუსელში კვეთ უცქეთ ოცდარაან ჩომბეს ვიზიტს საფრანგეთის დედაქალაქში და შიშობენ, რომ ეს ვიზიტი კონგოში საფრანგეთის შეღწევის მიზეზი არ გახდეს ბელგიის კომპანიების ინტერესთა საზიანოდ.

**ᲑᲐᲖᲘᲠᲘᲡ** ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲡ ᲬᲕᲠᲘᲚᲘ

# ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲔᲮᲣᲗᲔ ᲓᲦᲔ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ
ᲛᲔ-8 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ, ᲡᲐᲨᲐᲑᲐᲗᲘ,
1 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1984 Წ.

# ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

## რესპუბლიკაში პირველი

**საჩხერე.** (საკ. კორ.). გამართულად მუშაობს კავშირგაბმულობის საჩხერის კვანძი (უფროსი მ. კავთარაძე). იგი 23 საფოსტო განყოფილებას აერთიანებს. მშრომელთა უკეთ მომსახურებისათვის წელს განხორციელდა სოფელ კორბოულის რადიოფიკაცია — დამატებით დაიდგა 800 წერტი. სატელეფონო კავშირი დამყარდა სოფლებთან ნიგოზეთთან და ბერეთისასთან.

ამას წინათ აქ სასიხარულო ცნობა მოვიდა — საჩხერის კვანძმა გაიმარჯვა სოციალისტურ შეჯიბრებაში. მესამე კვარტალის მაჩვენებლებით კვანძის კოლექტივს რესპუბლიკაში პირველი ადგილი მიეკუთვნა და კვლავ მას დარჩა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროსა და კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

# 24 საათის გრძოლა სტიქიასთან

კამპასინის შავი ზღვის სანაპიროს ძლიერი შტორმი დაატყდა თავს, ასეთი შტორმი დიდი ხანია არ ახსოვთ აქ. ქარის სიჩქარე წამში 25-30 მეტრს აღწევდა. ზღვა ბობოქრობდა. სამსართულიანი სასლის სამაღლის ტალღები ერთი მეორეს ეხეთქებოდნენ ნაპირზე. ზოგიერთ რაიონში ტემპერატურა მკვეთრად ორ გრადუსამდე დაეცა. თოვდა.

გრიგალი დღე-ღამეზე მეტს გაგრძელდა და სერიოზული ზარალიც გამოიწვია. ბათუმში, მაგალითად, ქარი გლეჯდა სახლის სახურავებს, ზღვის მახლობლად მდებარე რაიონებში წყალი ადამიანს წელამდე წვდებოდა. სოფლებში დაიტბორა ციტრუსისა და ჩაის პლანტაციები.

სტიქიასთან საბრძოლველად გამოვიდნენ მოსახლეობა, ჯარის ნაწილი. განსაკუთრებული მამაცობა გამოიჩინეს ბათუმის გემთსაშენებელი ქარხნის მუშებმა. ეს საწარმო ზღვის ნაპირას მდებარეობს და პირველმა იგრძნო გამძვინვარებული სტიქიის ძალა. საამქროები წყალმა დატბორა, ხრეშმა ამოავსო. მღელვარე ტალღებში წელამდე წყალში ჩამდგარმა კატარღასამშენებლო საამქროს უფროსმა ვახტანგ დარჩიამ, ბრიგადირებმა ლევან დარსალიამ, ნიკოლოზ დუბონინმა, ალექსანდრე დუმბაძემ და ბევრმა სხვამ გადაარჩინეს მოწყობილობა, ქარხნის ქონება, დაეხმარნენ მეზობელი რაიონების მოსახლეობას გახიზვნაში. სასწრაფოდ მიღებული ზომების მეოხებით მსხვერპლი არ ყოფილა, ხალხმა ქარხანა გადაარჩინა.

გრიგალმა გადაუარა აგრეთვე ქობულეთს, ფოთს, სოხუმს, გაგრასა და სხვა ზღვისპირა ქალაქებს. გაგრასა და ფოთში ტალღებმა დაანგრიეს ნაპირგასამაგრებელი ნაგებობანი, წალეკეს დროებითი საცხოვრებელი ნაგებობანი. მაგრამ ხალხი უსახლკაროდ არ დარჩება. შტორმისაგან დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად უკვე გაიგზავნა ასაწყობი ფინური სახლები. ხოლო ჯერჯერობით ადამიანები მოათავსეს მუშათა საერთო საცხოვრებლებში, სასტუმროებში.

ახლა შავი ზღვის სანაპიროზე კვლავ კარგი ამინდია, ქარი ჩადგა. ტემპერატურა პლუს 15 გრადუსამდე ავიდა. ზღვის-პირა ქალაქების ცხოვრება ნორმალური ხდება. მუშაობენ ქარხნები, აღადგენენ გრიგალით დანგრეულ შენობებს, მოწესრიგებულია კავშირი რესპუბლიკის რაიონებთან.

შეიქმნა მთავრობის კომისია სტიქიური უბედურებით დაზარალებულთა დასახმარებლად. (საქდესი).

## ხელოვნების ქრონიკა

### დამთავრდა „ორერას“ გასტროლები

**ათასობით** მოხიბლული ადამიანი, — ასეთია ქართული კვარტეტის „ორერას“ ამასწინანდელი გასტროლების შედეგი. კვარტეტის შემადგენლობაში არიან რ. ბარძიმაშვილი, გ. იაშვილი, თ. ფანჩვიძე და თ. დავითაია. ორ თვეზე მეტხანს გრძელდებოდა ტურნე ავლანეთში, ირანში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და პოლონეთში.

მსმენელებმა ღირსეულად შეაფასეს ქართველი კომპოზიტორების რ. ლაღიძის, ს. ცინცაძის, შ. მილორავას, ს. შირიანაშვილის მელოდიური სიმღერები.

### ილებენ ახალ ფილმს

**სოხუმში** ჩამოვიდა საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური კინოფილმების სტუდიის ექსპედიცია რეჟისორ ოთარ გურგენიძის ხელმძღვანელობით.

აქ იღებენ ახალ მოკლემეტრაჟიან ფილმს სამედიცინო თემაზე, რომელიც ასახავს ანკილოსტომოზის მავნე გავლენას ადამიანზე და მის წინააღმდეგ ბრძოლას.

ნ. მიქაშავიძე.

## პირველი თოვლი

**შემოდგომის** მიწურულს აცივდა. ყველა ჩვენგანმა იგრძნო ზამთრის დადგომა. მაგრამ თოვლმა ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში ზამთარს დაასწრო. გასული თვის 22 რიცხვიდან შემოიტანა ჩრდილოეთის არქტიკული პაერის ცივი მასები, რამაც მთელ საქართველოში აცივება და თოვა გამოიწვია.

უხვად ბარდნიდა ბორჯომში, ბაკურიანში, ქუთაისში, ახალქალაქში, წიფაში კი თოვლის სისქემ 1 მეტრს მიაღწია. თოვამ 28 ნოემბრიდან მომავალ ქარი აღმოსავლეთ საქართველოში და მან, მაგალითად თბილისში, შაბათს წამში 20 მეტრს მიაღწია.

ზამთრის პირველ დღეებში, როგორც სინოპტიკოსები იტყობინებიან, ამინდი გაუმჯობესდება რესპუბლიკის თითქმის მთელ ტერიტორიაზე.

• • •

**სურათზე:** პირველი თოვლი ქუთაისში.

ფოტო ა. ჩარკვიანისა.

## შვეიცარიელი მწერლის თვალით

### ფრიდრიხ დიურენმატი — ლადო გუდიაშვილის შემოქმედების შესახებ

**განვლილ** ზაფხულს საბჭოთა კავშირში იმოგზაურა შვეიცარიელმა მწერალმა ფრიდრიხ დიურენმატმა, რომელიც თავის თანამემამულე მაკს ერიზთან ერთად თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს დრამატურგად არის მიჩნეული.

...დიურენმატი საბჭოთა კავშირში მოგზაურობისას საქართველოშიც იყო. თბილისში ყოფნისას სახელგანთქმული მწერალი ეწვია საქართველოს სახალხო მხატვარს ლადო გუდიაშვილს. გუდიაშვილმა შვეიცარიელ დრამატურგს აჩუქა გრაფიკული ნამუშევარი „სიმღერა მთვარეზე“ (1963 წ.).

სტუმარმა მხატვრის შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერა საკუთარი ლექსი, რომლის თემაა საერთოდ ხელოვნების და, კერძოდ, ფერწერის მნიშვნელობა ადამიანთა ცხოვრებაში.

„წარსული და მომავალი მხატვრის სურათში დღევანდელ სინამდვილედ იქცევა“, — ვკითხულობთ ამ ურთიერთ და ყოველგვარ ტრადიციულ სამკაულებს მოკლებულ ლექსში (თანამედროვე დასავლეთში რითმიანი, ეპითეტებიანი, მელოდიური ლექსები თითქმის აღარ იწერება).

...მოსკოვში უცხოური ლიტერატურის ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან და მკითხველებთან შეხვედრისას მწერალს ჰკითხეს, რა აზრისაა იგი საბჭოთა სახვით ხელოვნებაზე. დიურენმატმა პირველად ლადო გუდიაშვილი დასახელა და თავისი აღფრთოვანება გამოთქვა ქართველი ხელოვანის შემოქმედებით (აღსანიშნავია, რომ დიურენმატს ხატვისათვის თავი არ დაუნებებია, უპირატესად საკუთარი ნაწარმოებების თემებზე ხატავს).

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ფრიდრიხ დიურენმატს შინ, ნოშატელში (იგივე ნოიენბურგი, სამხრეთ შვეიცარიის კანტონი) გაზეთ „ციურიხერ ვოხეს“ თანამშრომლები ჰანს ფლაიგი და ვერნერ ვოლენბერგერი ეწვივნენ და მასთან ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ საბჭოთა კავშირში მოგზაურობის თაობაზე.

ეს ვრცელი ინტერვიუ „ციურიხერ ვოხემ“ თვალსაჩინო ადგილას დაბეჭდა. დიურენმატთან საუბარი უმალვე გადაბეჭდეს დასავლეთ გერმანიის და შვეიცარიის სხვა გაზეთებმაც.

ინტერვიუში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ლადო გუდიაშვილს.

„გუდიაშვილი მეტად საინტერესო ფერმწერალია. ის კარგა ხანს ცხოვრობდა პარიზში, აქვს მოდილიანის ორი მშვენიერი ნახატი; გუდიაშვილი მოდილიანის მეგობარი იყო...“ ქართველი მხატვრის მიერ ზღარბულ და მითურ თემებზე შექმნილ ნამუშევართა გამო დიურენმატი ამბობს: „ამ ნამუშევრებს მე ვერავითარ ტრადიციულ კატეგორიას ვერ მივაკუთვნებ“. შვეიცარიელი მწერალი სპეციალურად ჩერდება გუდიაშვილისეულ ქაშვეთის მადონაზე.

„გუდიაშვილმა თავის ერთ-ერთ ოთახში შემოიყვანა, — მოუთხრობს დიურენმატი ევროპელ მკითხველს, — და მიჩვენა დიდებული სურათი, რომელზეც ქართველი პრინცესას წამებაა ასახული. სურათმა გოიას ნამუშევრები მომაგონა. ...გუდიაშვილს აქვს ძალიან პოეტური სურათები და იქვე უაღრესად შთამბეჭდავი „სატირებიც“...

იგი უარს ამბობს თავისი სურათების გაყიდვაზე. თბილისის მუზეუმში ჰკიდია მისი რამდენიმე შესანიშნავი ნამუშევარი. ახლა მხატვარი 70 წლისაა (დიურენმატი ცოტა ადრეს ჩვენს ლადოს: იგი 68 წლისაა. — ნ. კ.) და თბილისს თითქმის არასოდეს არ ტოვებს...“

...„დიურენმატი ამჟამად მუშაობს თავის ახალ პიესაზე (კეისარი და საჭურისი), პიესის თემა ბიზანტიურია, ეხება იუსტინიანეს პერიოდს (მე-6 საუკუნე). ნაწარმოებში კვეკასიური თემაც იჭრება. ამის გამო შვეიცარიელი მწერალი გაისადაც ამპირებს ჩვენში ჩამოსვლას კავკასიური კოლორიტის გასაცნობად.

ნ. კაკაბაძე.

## ჩემპიონატები • ტურნირები • მატჩები

# პაექრობა დაიძაბა

„XXIV 1964“

„ვერ იქნა და ვერ მოვიგე პარტია შავებთან!“ — თქვა ნ. გაფრინდაშვილმა კ. ზვორიკინასთან ყაიმის შემდეგ. მისი მრავალრიცხოვანი გულშემატკივრები ძლიერ განიცდიდნენ მსოფლიოს ჩემპიონის შედარებით წარუმატებლობას სტარტზე. მაგრამ გუშინდელი მეშვიდე ტურის შემდეგ ყველას იმედი მიეცა.

მსოფლიოს ჩემპიონი იბრძოდა საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონს ვ. ბორისენკოს წინააღმდეგ. რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში ტევა არ იყო, არაერთგზის აენთო შუქნიშანი „დაიკავით სიწყნარე!“ შაგინით ნონამ მიმართა ნაკლებ გავრცელებულ გაგრძელებას ძველ ინდურ დაცვაში, რათა თანამედროვე თეორიის საუცხოო მცოდნე ვ. ბორისენკოსთვის რაიმე სახშინაო ვარიანტის გამოყენების საშუალება არ მიეცა. თეორები ცდილობდნენ აქტიურად ეთამაშათ ცენტრში და მეფის ფრთაზე, მაგრამ ნონამ დაასწრო მეტოქეს. ლაზიერის ფრთაზე საუცხოო კომბინაციური თამაშით მან შებორკა თეორების ფიგურები. ბორისენკომ დაკარგა ხარისხი, შემდეგ რამდენიმე პაიკი და 84-ე სვლაზე დანებდა.

„შეცდომების კომედია“—ასე შეიძლება ეწოდოს კ. ზვორიკინა-ე. რუბცოვას შეხვედრას. ჯერ იყო და ესპანური პარტიის ღია ვარიანტში ლიდერმა შავებით პერსპექტიული პოზიცია მიიღო. შემდეგ ახალგაზრდა მოჯადოკეე შეცდა, რითაც კ. ზვორიკინას ისარგებლა და მოიგო პაიკი. მინსკელი ოსტატის შემდგომმა არაზუსტმა თამაშმა რუბცოვას საშუალება მისცა გამოესწორებინა მდგომარეობა. მძაფრ ცაიტნოტში კ. ზვორიკინამ სავსებით უიმედო პოზიცია მიიღო, მაგრამ ახლა რუბცოვა შეცდა და დაკარგა ფიგურა. პარტია გადადიო მწვავე მდგომარეობაში, სადაც ზვორიკინას ფიგურა აქვს ორ პაიკში.

ნ. ალექსანდრიამ შავებით ინგლისურ პარტიაში აჯობა ბ. მოსიონეიკს და აიძულა „ურუ“ დაცვაზე გადასულიყო. ნორჩ მოჯადოკეს შეეძლო ფიგურის მოგება, მაგრამ ხარისხს დასჯერდა. პარტია გადაიდო მწვავე პოზიციაში ნ. ალექსანდრიას მატერიალური უპირატესობით.

რ. კაზმინამ მეორე დამარცხება აგება მ. რანეიუს, ო. რუბცოვამ სძლია ზ. ნახიმოვსკაიას, ლ. ვოლპერტმა — ი. გასპარიანცს. ყაიმზე შეთანხმდნენ ნ. კონოპლიოვა და ა. ჩაიკოვსკაია.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

შვიდი ტურის შემდეგ ე. რუბცოვას 5,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს. ლ. ვოლპერტს 5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ნ. კონოპლიოვას — 5 ქულა.

გ. გამრეკელი.

## ფრე სოფიაში

**მატჩი** სოფიაში სსრ კავშირის ნაკრებისათვის სეზონის უკანასკნელი პაექრობა იყო. როგორც ვიუწყებოდით, ამ თამაშზე რამდენიმე დღით ადრე გაიყიდა ყველა ბილეთი, ამიტომ ფეხბურთის ბეჭრი მოყვარული იძულებული იყო ტელევიზორს მისჯდომოდა, ან რადიოთი ესმინა ტრანსლაციისათვის.

საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში იყვნენ — ბანიკოვი, ლოგოფეტი, შესტერნევი, შუსტიკოვი, პონომარიოვი, ეორონინი, სიჭინავა, ჩისლენკო, სერებრიანიკოვი, მეტრეველი, მესხი. მეორე ტაიმში ჩისლენკოს და სერებრიანიკოვი შეცვალეს მატვეევმა და მალაფეევმა.

ამინდი შესანიშნავი იყო, მაგრამ ფეხბურთელებს ხელს უშლიდა ცული მოედანი. მიუხედავად ამისა, მეტოქეებმა აჩვენეს შეუპოვარი ბრძოლა. თავდასხმელთა შორის გამოირჩეოდა საბჭოთა ნაკრების მარცხენა გარემარი მესხი.

საერთო მოწონება დაიმსახურეს სსრ კავშირის ნაკრების ნახევარმცველებმა ეორონინმა და სიჭინავამ. ისინი კონტროლს უწევდნენ მოედნის შუაგულს, უმუალოდ ემზადებოდნენ იერიშებში. იყო ერთი მომენტი, როდესაც გოლი გარდუვალი იყო, მაგრამ სერებრიანიკოვმა ვერ გამოიყენა შესაძლებლობა.

ტუმბიანი ბრძოლა მეორე ტაიმშიც არ დამცხრალა. ბულგარელები მთელი დატვირთვით მოქმედებდნენ, მაგრამ უშედეგოდ.

მატჩი ამოიწურა, საბრძოლო ფრე — 0:0.

## ახალი ოსტატები

იმ ფეხბურთელებს, რომლებიც შეასრულებენ ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაციის მოთხოვნებს, ყოველი სეზონის მიწურულში სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია ანიჭებს სპორტის ოსტატის წოდებას.

ასე მოხდა წელსაც. ამ დღეებში ეს წოდება მიენიჭათ ოთხი გუნდის — თბილისის „დინამოს“, მოსკოვის „ლოკომოტივის“, კლაიპედის „გრანიტასისა“ და ნიკოლაევის „სუდოსტროტელის“ წარმომადგენლებს.

თბილისის „დინამოდან“ სპორტის ოსტატები გახდნენ: ა. აფშევი, დ. ვეკუა, ვ. ძიძიგური, ა. ილიადი, ვ. კლპინი, ნ. ლეჟავა, ნ. მაისურაძე, ო. ნარსია, ვ. რეხვიაშვილი, თ. სახვაძე, გ. ხარტიშვილი, ე. ხუციშვილი, ვ. ჭელიძე.

## სპორტული ქრონიკა

● **ბრმეის** ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი კამბოჯას ეწვია და ეხმამპენში პირველი მატჩი ჰქონდა ადგილობრივ არმიელ ფეხბურთელებთან. შეხვედრის შედეგია 4:1 ცხეა-ს სასარგებლოდ.

● **მინსკის** „დინამომ“, რომელსაც შვიდი ძირითადი მოთამაშე აკლდა, სენეგალის ქალაქ სენლუიში გამართა მეორე შეხვედრა ამ ქვეყნის ჩემპიონად ერიოზის ძალა. საამქროები წყალმა დატბორა, ხრეშმა ამოავსო. მღელვარე ტალღებში წელამდე წყალში ჩამდგარმა კატარღასამშენებლო საამქროს უფროსმა ვახტანგ დარჩიამ, ბრიგადირებმა ლევან დარსალიამ, ნიკოლოზ დუბონინმა, ალექსანდრე დუმბაძემ და ბევრმა სხვამ გადაარჩინეს მოწყობილობა, ქარხნის ქონება, დაეხმარნენ მეზობელი რაიონების მოსახლეობას გახიზვნაში. სასწრაფოდ მიღებული ზომების მეოხებით მსხვერპლი არ ყოფილა, ხალხმა ქარხანა გადაარჩინა.

● **ერევნის** „არარატს“ საერთაშორისო მატჩი ჰქონდა ბეირუთში ადგილობრივ საკლუბო გუნდ „ბომენმენთან“. შეხვედრის შედეგია 8:1 საბჭოთა ფეხბურთელების სასარგებლოდ.

● **დამთავრდა** თბილისის პირველობა რეგბიში. 29 ნოემბერს შედგა ფინალური მატჩი „დინამოსსა“ და სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდებს შორის. დინამოელებმა აღმავლობით ჩაატარეს შეხვედრა, გაიმარჯვეს 29:6 და ჩემპიონები გახდნენ.



## ჩვენი კლანეტის ამინდი

# როგორი იქნება დეკემბერი?

**ბოლოდ** ერთი ღრმა ციკლონი, მაგრამ რამდენად მრავალფეროვანია ამინდი, რომელსაც იგი წარმოქმნის და რამდენად დიდია ტერიტორია, რომელზეც იგი ბატონობს. საბჭოთა კავშირის ევროპულ ტერიტორიაზე ატლანტიკის ციკლონმა ჭვიმა, თოვლმყაარი და სითბო გამოიწვია. როცა იგი უფალს მიუახლოვდა, მას არქტიკის ჰაერი დაეწია. ცენტრალური რაიონის ჩრდილოეთში ყინვამ 22 გრადუსს მიაღწია, ხოლო დედაქალაქში — თექვსმეტს.

ურალი რომ გადალახა, ციკლონმა სითბო ციმბირის სამხრეთში და ყაზახეთში მიიტანა. ტემპერატურამ ომსკში 4 გრადუსამდე აიწია, ცელინოგრადში 8 გრადუსამდე. კრასნოდარსკის მხარეშიც დათბა. ცხელი ამინდები დადგა შუა აზიაში. თურქმენეთის სამხრეთში თერმომეტრი 31 გრადუს სითბოს უჩვენებდა, ეს ნორმაზე 13 გრადუსით მეტია. უჩვეულო ამინდია კრასნოდარის მხარეში. სანაპიროზე ძლიერმა წვიმებმა გადაიარა, კრასნოდართან კი უხვად თოვდა.

დასავლეთის ძლიერმა ქარმა სსრ კავშირის ევროპულ ტერიტორიაზე ატლანტიკის ტენიანი ჰაერის ნაკადი მოიტანა. წვიმდა ბალტიისპირეთსა და ბელორუსიაში. თოვდა ცენტრალურ რაიონებში. ყინვებმა უკან დაიწია. უახლოეს დღეებში აქ დათბობაა მოსალოდნელი.

როგორი იქნება, სინოპტიკოსების პროგნოზით, ზამთრის პირველი თვე, დეკემბერი?

ბალტიისპირეთში, ბელორუსიაში, ცენტრალურ რაიონებში ხშირი იქნება მოღრუბლულობა ქარბუქითა და თოვით. გამოიდარებს, როგორც ჩანს, მეორე და მესამე დეკადების ბოლოს. პირველი დეკადის დასასრულს და თვის ბოლოს მოსალოდნელია ყინვები 17-22 გრადუსამდე ბელორუსიასა და ცენტრალურ რაიონებში, 11-16 გრადუსამდე ბალტიისპირეთში. ყველაზე თბილი მეორე დეკადის ბოლო იქნება.

უამინდობა, თოვლი, ზოგჯერ კი წვიმები მოსალოდნელია უკრაინასა და მოლდავეთში. შუა ვოლგაზე ხშირად იქნება უღრუბლობა და ყინვა — 22-27 გრადუსი. აქ ზოგიერთ დღეს მოსალოდნელია ტემპერატურის ნულ გრადუსამდე დაცემა.

იმერეთიაკალში და ბაიკალის პირას, სადაც თოვა ხშირი და უხვია, საშუალო ტემპერატურა ჩვეულებრივზე ხუთი გრადუსით მაღალი იქნება.

გ. მიხაილოვა.


## საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

**აცხადებს** დამატებით მიღებას ასპირანტურაში 1964-65 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობათა მიხედვით:

1. **დასწრებული ასპირანტურა.** ა. **რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი:** ფუნქციათა თეორია, გეომეტრია და ტოპოლოგია, მათემატიკური ფიზიკა, **გამოთვლითი ცენტრი:** გამოთვლითი მათემატიკა — ორი ადგილი.

2. **დაუსწრებელი ასპირანტურა. ფიზიკის ინსტიტუტი:** თეორიული ფიზიკა, ატომური ბირთვისა და კოსმოსური სხივების ფიზიკა. **კიბერნეტიკის ინსტიტუტი:** თეორიული კიბერნეტიკა — ოთხი ადგილი. **ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტი:** ტექნიკური კიბერნეტიკა, ელექტრონული ტექნიკა და ხელსაწყოები. **გ. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის: სამადნოთა დამუშავებისა და აფეთქების ფიზიკის ინსტიტუტი:** სამბატო მშენებლობა.

ასპირანტურაში შესასვლელად საჭირო სამუშაოები მიიღება 20 დეკემბრამდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 22 დეკემბრიდან 28 დეკემბრამდე.

ყველა ცნობის მიღება შეიძლება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურის განყოფილებაში (თბილისი, ძერჟინსკის ქ. 8, ტელ. 9-91-53).



## საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

**აცხადებს** 1964-65 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღებას დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

**1. აგრონომიული** (ქართულ და რუსულ სექტორებზე), **2. მეცნარეთა დაცვის, 3. მეხილეობა-მებოსტნეობისა და მევენახეობის, 4. მეაბრეშუმეობის, 5. ნიადაგმცოდნეობისა და აგროქიმიის, 6. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა-ორგანიზაციის, 7. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ბუღალტერული აღრიცხვის, 8. სატყეო-სამეურნეო** (ქართულ და რუსულ სექტორებზე), **9. სატყეო-საინჟინრო, 10. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, 11. მეღვინეობისა და ხილ-ბოსტნეულის დაკონსერვების ტექნოლოგიის.**

**ინსტიტუტში შემსვლელნი აბარებენ** მისაღებ **გამოცდებს სპეციალობების მიხედვით შემდეგ მაპროფილებელ დისციპლინებში:** 1. აგრონომიული, 2. მცენარეთა დაცვის, 3. მეხილეობა-მებოსტნეობის და მევენახეობის, 4. მეაბრეშუმეობის და 5. ნიადაგმცოდნეობისა და აგროქიმიის სპეციალობებზე: ა) ფიზიკაში (ზეპირი), ბ) ქიმიაში (ზეპირი), 6. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა-ორგანიზაციის და 7. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალობებზე: ა) მათემატიკა (წერა და ზეპირი), ბ) ქიმია (ზეპირი), 8. მეღვინეობისა და ხილ-ბოსტნეულის დაკონსერვების ტექნოლოგიის, 9. სატყეო-სამეურნეო, 10 სატყეო-საინჟინრო და 11. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სპეციალობებზე: ა) მათემატიკა (წერა და ზეპირი), ბ) ფიზიკაში (ზეპირი), ქიმიაში (ზეპირი).

**მაპროფილებელი** დისციპლინების ჩაბარების შემდეგ, მიუხედავად სპეციალობისა, აბარებენ: ქართულ სექტორზე შემსვლელნი ქართულ ენასა და ლიტერატურას (წერა), რუსულ სექტორზე შემსვლელნი — რუსულ ენასა და ლიტერატურას (წერა).

**ინსტიტუტში** შემსვლელმა პირმა განცხადებას (არჩეული სპეციალობის ჩვენებით) რექტორის სახელზე უნდა დაურთოს შემდეგი საბუთები: 1. საბუთი საშუალო განათლების შესახებ (დედანი), 2. დახასიათება, გაცემული სამუშაო ადგილიდან ინსტიტუტში შესასვლელად, 3. ცნობა სამუშაო ადგილიდან თანამდებობის და სტაჟის აღნიშვნით, შემრწმებული ფორმიანის ხელმძღვანელის (კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის) და მთავარი ბუღალტრის (ბუღალტრის) მიერ და დადასტურებული რაიონმასკომის მიერ, 4. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, შემრწმებული საწარმოს ხელმძღვანელის მიერ, კოლმეურნეთათვის — ამონაწერი კოლმეურნის წიგნაკიდან, სადაც ნაჩვენები უნდა იყოს კოლმეურნეობათვის დაწესებული შრომადღეების მინიმუმი. მუშაობის ყოველი კალენდარული წლისათვის (ალ-ცალკე), შემოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მიერ, 5. ავტობიოგრაფია, 6. სამედიცინო ცნობა ((ფორმა № 286), 7. 4 ფოტოსურათი (ზომით 3×4 სმ), 8. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 9. პასპორტი და სამხედრო ბილეთი ან შენერის მოწმობა (ადგენენ პირადად).

მიღების წესები იგივეა, რაც სსრ კავშირის სხვა სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების დაუსწრებელი სწავლების განყოფილებებზე (თანკანონტიტებზე).

**პირველ რიგში** მიიღებიან ის **პირები, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ** მისაღებ **გამოცდებს და მუშაობენ ინსტიტუტში არჩეული სპეციალობებით.**

საბუთები მიიღება ა. წ. 31 დეკემბრამდე, ყოველდღე, გარდა კვირადღისა, დღის 10 საათიდან 4 საათამდე. მისაღები გამოცდები 1965 წლის 2 იანვრიდან.

**დაწვრილებითი ცნობების** მიღება შეიძლება **მიმდან კომისიაში,** თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრსპ. № 33.



## ხელოვნების საქართველო

### „ბოჰემა“ ოპერა-სტუდიაში

**ბ. ალიევის** ოპერა-სტუდიაში ჯაკომო პუჩინის „ბოჰემა“ ოთხ მოქმედებად. ოპერა-სტუდიის ბალეტმეისტრ ალ. ალიევის ინსცენირებით. ... ... ...